ოთარ ჯანელიძე

ნიკო ნიკოლაძე

(ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1998

63. 3 (2 Г.)
947. 922
ჯ 221

ნაშრომში გაშუქებულია ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკითხველისათვის დღემდე უცნობი ფაქტები და მოვლენები, რომლებიც 1917-1924 წლებს განეკუთვნება.

წიგნში დანართის სახით შესულია საქართველოს დამფუძნებელ კრებაში წარმოთქმული ნიკო ნიკოლაძის სიტყვები.

რედაქტორი პროფესორი მ. გაფრინდაშვილი

რეცენზენტები: პროფესორი გ. ჯავახიშვილი
დოცენტი მ. ვაჩნაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998

© ოთარ ჯანელიძე, 1988

ჯ 0503000000
608(06)-98

ISBN 5-511-00895-8

წ ი ნ ა თ ქ მ ა

გამორჩეული კაცი იყო ნიკო ნიკოლაძე, მასშტაბური, ორიგინალურად მოაზროვნე... ჭაბუკობიდან აღსასრულამდე ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. ყველა საქმეს, რომელსაც კი ხელი მოჰკიდა, შთამბეჭდავი, დიდი და წარუშლელი კვალი დაამჩნია. იყო პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პერიოდულ გამოცემათა დამაარსებელი და რედაქტორი, კრიტიკოსი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ქალაქის თავი, პარლამენტის დეპუტატი, დიპლომატი. ხანდაზმული, 85 წლის გარდაიცვალა. პატივს სცემდნენ, აფასებდნენ და ანგარიშს უწევდნენ არა მხოლოდ საქართველოში – მის ფარგლებს გარეთაც. მოესწრო რუსეთის ოთხ მეფესა და სამ რევოლუციას, იყო ოთხი დიდი ომის მხილველი, კოლონიური საქართველოს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და გასაბჭოებული საქართველოს მოქალაქე.

ნიკო ნიკოლაძის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედებისადმი მრავალი მონოგრაფია, ნარკვევი, საგაზეთო და საჟურნალო სტატიაა მიძღვნილი ქართულ და უცხოურ ენებზე. გამოქვეყნებულია მისი ნაწერების ტომეულები, მოგონებები. თბილისსა და დიდ ჯიხაიშში გახსნილია ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმები, მასზე გადაღებულია დოკუმენტური ფილმი და სხვ. ერთი სიტყვით, ამ კაცს აღიარება და დაფასება არ აკლია, რომ არა ერთი სამწუხარო გაურკვევლობა. როგორც ქართველი ემიგრანტი მოღვაწე ლევან ზურაბიშვილი თავის დროზე შენიშნავდა: „ნიკოს ყველა ბიოგრაფიიდან სავსებით ამოშლილია მისი ეროვნული და პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის სამი-ოთხი წლის მანძილზე: განდევნილია და დავიწყებას მიცემული 1917-1921 წლები“.[1]

რით უნდა აიხსნას აღნიშნული გარემოება?

ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ისტორიული მეცნიერება არსებული რეჟიმის სამსახურში იყო ჩაყენებული. მას უნდა გაეზიარებინა და კვერი დაეკრა ხელისუფალთა გადაწყვეტილებებისა თუ შეხედულებებისათვის. როდესაც ნიკო

[1] ლ. ზურაბიშვილი, ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 125 წლის და გარდაცვალებიდან 40 წლისთავზე, „კავკასიონი“, XIII, პარიზი, 1968, გვ. 77.

ნიკოლაძე გარდაიცვალა, ოფიციოზმა მისი მოღვაწეობა შემდეგნაირად შეაფასა: „ნ. ნიკოლაძემ მთელი თავისი მუშაობის საუკეთესო ხანა განვლო გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ოქტომბრის ალი მოედებოდა ჩვენი ცხოვრების ცის კიდურებს".[1] ფილიპე მახარაძემ კიდევ უფრო დააკონკრეტა: ნიკო ნიკოლაძის „მოღვაწეობა ეკუთვნის განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევარს".[2] ეს იყო იყო თავისებური მითითება და მკვლევარნიც ამ ქრონოლოგიური ჩარჩოთი უნდა შემოფარგლულიყვნენ. მას შემდგომ მხოლოდ ერთ ნაშრომში, ისიც გაკვრით აღინიშნა, რომ ნ. ნიკოლაძე თანამშრომლობდა მენშევიკურ მთავრობასთან, როგორც ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და მეთაური, ხოლო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იგი ემიგრაციაში მოხვდა და მენშევიკებთან ერთად ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას.[3] უფრო გვიან გამოცემულ ერთ მონოგრაფიაში კი ნათქვამია: ნ. ნიკოლაძე არ ეკუთვნოდა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, ფაქტობრივად იგი არ მონაწილეობდა 1917-1924 წლებში საქართველოში წარმოებულ პოლიტიკურ ბრძოლებში და მხოლოდ სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობას ეწეოდა.[4] ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს ასე არ ყოფილა.

ბოლშევიკები არ ცნობდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და ამიტომ ამ პერიოდის მოღვაწეთა ვინაობაც კარგა ხნის მანძილზე მიჩქმალული იყო, ხოლო ვისი სახელის სრულად დავიწყება არ შეიძლებოდა, მათი ბიოგრაფიებიდან მოურიდებლად ხევდნენ ფურცლებს.

ბოლო წლებში მდგომარეობა დიამეტრულად შეიცვალა, თუმცა ნიკო ნიკოლაძესთან მიმართებაში ამ მხრივ ბევრი არაფერი გაკეთებულა. ისტორიკოსები დღესაც ვალში ვართ ამ სახელოვანი მამულიშვილის წინაშე.

წინამდებარე ნარკვევი არსებული ხარვეზის გამოსწორების ერთი მოკრძალებული ცდაა.

---

[1] „კომუნისტი", 1928 წ., 5 აპრილი.

[2] ფ. მახარაძე, ნიკო ნიკოლაძის გარდაცვალების გამო, „კომუნისტი", 1928 წ., 3 აპრილი.

[3] ს. ხუნდაძე, ნიკო ნიკოლაძე. ნარკვევი მისი ცხოვრებიდან, თბ., 1931, გვ. 119.

[4] დ. გამეზარდაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1983, გვ. 100.

1917 წლის თებერვალმა მნიშვნელოვნად შეცვალა რუსეთისა და იმპერიაში შემავალი მცირერიცხოვანი ერების ბედი. თვითმპყრობელობის დამხობამ ცარიზმის მიერ ჩაგრულ ერებს გზა გაუხსნა თავისუფლებისაკენ.

თებერვლის რევოლუციას ნიკო ნიკოლაძე პეტროგრადში შეხვდა. მან თავრიდის სასახლის წინ, ზღვა ხალხში მდგომმა მოისმინა, ნიკოლოზ მეორის მანიფესტი ტახტიდან გადადგომის შესახებ. „უსაზღვრო იყო მამაჩემის სიხარული", — იგონებს მწერლის ქალიშვილი, ცნობილი ქიმიკოსი რუსუდან ნიკოლაძე.[1]

ნევისპირა ქალაქი ქართველი მოღვაწისათვის უცხო არ ყოფილა. პირველად აქ ჯერ კიდევ ჭაბუკი, — გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩავიდა, — უმაღლეს განათლებას აქაურ უნივერსიტეტში დაეუფლა. არც სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის აურიდებია თავი, რისთვისაც კრონშტადტის საპყრობილეშიც მოუწია ჯდომა. მაშინ არ გაუსამართლებიათ, ციხეში ისე ჩასვეს. ახლა უკვე ხანდაზმული, 74 წლისა იყო, მაგრამ ამჯერადაც ძლივს გადაურჩა სასჯელს. ეს ასე მოხდა: რუსეთში გამგზავრებამდე ნიკო ნიკოლაძე უსამართლო ბრალდებით დაჰმინეს და სასამართლო მოუწყეს: ფოთის ქალაქის თავად მუშაობისას, როცა ნავსადგურს აშენებდა, ვითომ ერთ-ერთი ფირმისაგან ქრთამი აელოს. საქმე რამდენიმე წელს გაგრძელდა. სასამართლო, რომელიც ქუთაისში მიმდინარეობდა, დიდად გახმაურდა. პორცესის მსვლელობა დაწვრილებით გააშუქა იმდროინდელმა ქართულმა პრესამ. საკმაოდ დაიწერა რუსულ პერიოდიკაშიც. გაზეთებმა „რეჩ-", „დენ", „ბირჟევიე ვედომოსტ" და სხვ. თავიანთ ფურცლებზე მოათავსეს ინფორმაციები სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ.

ნ. ნიკოლაძეს ბრალდება არსებითად ვერ დაუმტკიცდა, თუმცა განაჩენით 8 ათასი მანეთის გადახდა მაინც დაეკისრა.

ფოთის თვითმმართველობამ ქუთაისის გუბერნატორისა და მეფისნაცვლის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ეპატიებინათ ნ. ნიკოლაძისათვის დაუმსახურებელი სასჯელი და მოეხსნათ მისთვის უკანონო გადასახდელი. მანამდე ქალაქის სათათბირომ

[1] რ. ნიკოლაძე, ცხოვრების დიდ გზაზე, თბ., 1975, გვ. 248.

ამგვარი დადგენილებაც მიიღო: „დაენიშნოს ნ. ნიკოლაძეს მთელი სიცოცხლის მანძილზე პენსია წლიურად 500 მანეთის რაოდენობით, რითაც ხანგრძლივი და სასარგებლო სამსახურისთვის ფოთი ვალს იხდის მის წინაშე".[1]

ხელისუფლებამ ფოთელთა არც დადგენილება შეიწყნარა და არც თხოვნა შეასრულა.

სასამართლომ ჩრდილი მიაყენა უმწიკვლო პიროვნების სახელს. სამშობლოსათვის დამაშვრალ მოღვაწეს დიდად ატკინეს გული.

ერთგულ ადამიანებს არ მიუტოვებიათ, საჯაროდაც გამოექომაგა რამდენიმე კაცი (ია ეკალაძე, რომანოზ ხომლელი, ალექსანდრე ასათიანი), რომლებმაც ხმა აღიმაღლეს მისი ღირსების დასაცავად. ალექსანდრე ასათიანი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი მომავალი ხელმძღვანელი, გაზეთ „სამშობლოს" ფურცლებზე წერდა: „ნიკო ნიკოლაძე ნახევარი საუკუნე დაუღალავად ემსახურება თავის ერს... მწერლობაში, პოლიტიკურს თუ ეკონომიურ ცხოვრებაში მან წარუშლელი კვალი გაავლო. საქმის (სასამართლოს _ ო.ჯ.) დაწყების შემდეგ ნ. ნიკოლაძე მრავალ ჩვენს საჭირ-ბოროტო კითხვებს ჩამოშორდა... თავის მოღვაწეობა მეტად შეზღუდა, შემოფარგლა. ეს მაშინ, როდესაც ის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მეთაური, ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო, ერთ-ერთი საიმედო ხელმძღვანელი!..

ქართველი საზოგადოების ინტერესები მოითხოვს, რომ ნ. ნიკოლაძის საქმე დასრულდეს სასამართლოს კედლებში და გადატანილ იქნეს ახალს, უმაღლეს ინსტანციაში _ საზოგადოების სამსჯავროში. ამისთვის ქართველმა საზოგადოებამ... თვით უნდა გამოიღოს ის რვა ათასი მანეთი, რომლის გადახდა ნ. ნიკოლაძეს დააკისრეს თავის ქვეყნისთვის ნაყოფიერ სამსახურისთვის, „ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა" ცდა-მეცადინეობით".[2]

ამ წერილმა, უეჭველია, მორალური კმაყოფილება აგრძნობინა და სიამე მოჰგვარა, გულს ოდნავ მოეფონა. მაინც გაცლა ამჯობინა

[1] გ. პაჭკორია, ფოთის წარსულიდან, თბ., 1967, გვ. 219.

[2] ალ. ასათიანი, ნიკო ნიკოლაძის საქმის გამო, „სამშობლო", 1916 წ., 1 ივნისი.

– დროებით რუსეთს გაემგზავრა. საბაბიც მიეცა: ცნობილი პუბლიცისტი და ჟურნალისტი ა. ამფითეატროვი პეტროგრადს იწვევდა ახლადარსებული გაზეთის „რუსსკაია ვოლიას“ რედაქტორად. ვიდრე წავიდოდა ნ. ნიკოლაძე, საქართველოშიც მიიღო რამდენიმე საქმიანი წინადადება: აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულომ მას კახეთის რკინიგზის გამგეობის ხელმძღვანელობა შესთავაზა (წევრად მანამდეც იყო არჩეული). ნ. ნიკოლაძე არ დათანხმდა. „რა სარგებლობა შეუძლია საზოგადოებას მოუტანოს ისეთმა მოღვაწემ, რომელსაც დაკარგული აქვს სამართლიანობის რწმენა და მხოლოდ იმ იმედით ცხოვრობს, რომ იქნებ გულცივმა ისტორიამ, რომელსაც დღეს თვალები ახვეული აქვს, ოდესმე ჭეშმარიტება გამოააშკარაოს და თავის მეხსიერებიდან მომხსნას დაუმსახურებელი ჩრდილი,“[1] – წერდა იგი თავად-აზნაურთა მარშალს კონსტანტინე აფხაზს ამასთან დაკავშირებით. ვერ გაჭრა საკრებულოს საგანგებო დელეგაციის ხელახალმა თხოვნამაც. კახეთის რკინიგზის სამმართველოს გამგეობის თავმჯდომარის პოსტზე ფ. გოგიჩაიშვილი აირჩიეს.

არც მეორე წინადადება ყოფილა ურიგო: გაზეთ „ზაკავკაზსკოე რეჩ-ის“ რედაქტორობა შესთავაზეს, წელიწადში 600 თუმანი ჰონორარით. პეტროგრადში მყოფს კიდევ ერთხელ გაუმეორეს თხოვნა, ამჯერად წერილობით. ე. გორდელაძე წერდა: ჩვენი წრე და თანამშრომელნი ყველა დიდი სიამოვნებით შეხვდა თქვენი მოწვევის განზრახვას. განმეორებით გთხოვთ იკისროთ ჩვენი გაზეთის ხელმძღვანელობაო.[2] ნიკო ნიკოლაძემ თავაზიანი უარი შეუთვალა, რადგან გადაწყვეტილება საქართველოდან წასვლისა, მტკიცე იყო. ახლა, დროებით, სამშობლოდან მოშორებით უჯობდა ყოფნა. თუმცა არც იქ ჰქონია მოსვენება.

ცნობილია, რომ რუსული პრესა კავკასიის საკითხების გაშუქებისას ტენდენციურობას იჩენდა, სომხებს უსამართლოდ ექომაგებოდა ქართველებისა და აზერბაიჯანელების საპირისპიროდ.

---

[1] გ. საითიძე, სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი), თბ., 1997, გვ. 23-24.

[2] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანაწ. №40-986.

ნ. ნიკოლაძე შეეცადა აღედგინა სამართლიანობა. მან დაიყოლია „რუსკაია ვოლია-ს" გამომცემლები კავკასიის ამბები და მოვლენები ობიექტურად გაეშუქებინა. ეს ჩვენს წისქვილზე ასხამდა წყალს, რაც გავლენიანი სომხური წრეებისათვის რუსეთში სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. „ვერ წარმოიდგენთ რამდენი კაცი, დეპეშა, წინადადება, სტატია და პასუხი მოსდის რედაქციას და ჩვენი გაზეთის „პრავლენიეს" ჩემი თანამშრომლობის წინააღმდეგ სომხებისაგან", – აცნობებდა წერილით ნ. ნიკოლაძე კიტა აბაშიძეს და დასძენდა: „სომხების პროტესტები, ინტრიგები და თხოვნები ჩემი თანამშრომლობის წინააღმდეგ რედაქციას თოვლივით ფინავს... აქაურ ბანკებიდან და სავაჭრო-სამრეწველო ფირმებიდან პირდაპირ მუქარები და წაქეზება მოსდის, განცხადებებს არ მოგცემთ, თქვენს გაზეთს არ ვიყიდით, ჩვენს პაიებს უკან მოვითხოვთო და სხვ."[1]

ნ. ნიკოლაძე არ შეუშინდა ამგვარ მუქარას. ცდილობდა, ჭეშმარიტების შეუბღალავად, გაზეთი ქართველი ერის სამსახურში ჩაეყენებინა. დედაქალაქის ბეჭდვით სიტყვას დიდი გასავალი ჰქონდა, ანგარიში ეწეოდა. ამდენად, საქართველოს მდგომარეობის მართებული გაშუქება პეტროგრადის პრესაში სასარგებლო და მეტად მნიშვნელოვანი საქმე იყო. „მუქთათ გაძლევთ ხელში იარაღს, რომელსაც სხვანი მილიონს შესწირავდნენ, – ხელი გამიწყვეთ მასალით, ამბებით, დარიგებით, თანაგრძნობით: ფულს ხომ არ გთხოვთო," – ემუდარებოდა ნ. ნიკოლაძე ქართველ მოღვაწეებს.[2]

თვითონ თავდაუზოგავად მუშაობდა, გაზეთში ყოველდღიურ რუბრიკას – „პრესის სამყაროში" – უძღვებოდა. საფუძვლიანად ეცნობოდა და მიმოიხილავდა მრავალრიცხოვან რუსულ პრესას. წერდა დამოუკიდებელ სტატიებსაც („რესპუბლიკის კონსტიტუციები", „სამი რესპუბლიკა", „არჩევნები არმიაში" და სხვ.).

რამდენიმე პუბლიკაცია მიუძღვნა ნ. ნიკოლაძემ კავკასიის მმართველობის საკითხებს. მოითხოვდა საქართველოში ერობის შემოღებასა და ავტონომიის დამკვიდრებას. განსაკუთრებით ამ უკანასკნელი საკითხის გამო მას მძაფრი კამათი ჰქონდა თავის

[1] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანწ. №51-73.

[2] იქვე.

მოწინააღმდეგეებთან.[1] ერობის თემა ახალი არ იყო ქართველი მამულიშვილისათვის. მან ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში აღიმაღლა ხმა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის საქართველოში გასატარებლად. ილია ჭავჭავაძემ და სხვა თერგდალეულებმაც ბევრი იღვაწეს ამ მიმართებით, მაგრამ ცარიზმი ისე დაემხო, მთავრობას საქართველოსთვის ერობა არ უბოძებია.

1917 წლის 16 თებერვალს ნ. ნიკოლაძემ „რუსკაია ვოლიაში" დაბეჭდა წერილი „კავკასიის მდგომარეობა". მასში მკაცრადაა მხილებული იმ პოლიტიკის კოლონიური ხასიათი, რომელსაც მეფის თვითმპყრობელობა ატარებდა კავკასიასა და კერძოდ საქართველოში. ხაზგასმულია, რომ ასეთ ვითარებაში მკვიდრი მოსახლეობის აღშფოთება და სიძულვილი სავსებით კანონიერია და სამართლიანი. ავტორის დასკვნა ამგვარია: „არ შეიძლება, საზღვარგარეთ იყო განმათავისუფლებელი და საკუთარ სახლში კი – სირაკუზელი ტირანი".[2]

მეფის ხელისუფლება ჯერაც ფეხზე იდგა. მართალია, ცარიზმის აგონია უკვე იწყებოდა, მაგრამ ამგვარი ტონით წერა ისევ სარისკო იყო.

მცირე ხანში რევოლუციამაც იფეთქა. მონარქია დაემხო. რუსეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. დროებითმა მთავრობამ ქვეყნის შემდგომი ბედ-იღბლის გადაწყვეტა დამფუძნებელ კრებას მიანდო. დაიწყო სამზადისი მომავალი საკანონმდებლო ორგანოს მოსაწვევად. ამოძრავდნენ პოლიტიკური ორგანიზაციები, მეტი გამოცოცხლება დაეტყო პეტროგრადში არსებულ ეროვნულ, მათ შორის ქართულ სათვისტომოსაც. ამ ამბების შესახებ თავის მოგონებებში საინტერესოდ მოგვითხრობს რუსუდან ნიკოლაძე-„მას აქეთ, რაც თებერვლის რევოლუციამ პირველი დღეებიდანვე ყველანი დიდი მოვლენების მოწმენი გაგვხადა, – ვკითხულობთ მოგონებებში, – ხშირად ვიკრიბებოდით... იყო გაცხოველებული

[1] მ. გაფრინდაშვილი, ქართული განმანათლებლობა, თბ., 1966, გვ. 290.

[2] ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, „მნათობი", 1960, №6, გვ. 169.

სჯა-ბაასი არა მარტო რუსეთის რევოლუციისა, არამედ საქართველოს ბედზედაც. მომხსენებლები უმრავლეს შემთხვევაში იყვნენ პროფ. ა. ცაგარელი და ქართველ მეცნიერთა ახალი თაობის თავკაცი ივანე ჯავახიშვილი, მაშინ ჯერ კიდევ პრივატ-დოცენტი პეტროგრადის უნივერსიტეტისა".[1]

„რმოდენა კრებები და სხდომებია, რომ მოსვენება არა მაქვს. ჩვენ ვცდილობთ აქ როგორმე დავეხმაროთ ჩვენს ერს", – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი იმ დღეებში დაწერილ ერთ კერძო წერილში.[2]

ნიკო ნიკოლაძე ამ შეკრებების მჭუხარე მონაწილე იყო. მისმა არქივმა შემოგვინახა ნათქვამის საილუსტრაციო ერთი საყურადღებო დოკუმენტი. ეს არის 1917 წლის 3 მარტით დათარიღებული ა. ჩერქეზიშვილის ბარათი ნ. ნიკოლაძისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „ხვალ, 4 მარტს, დღის 3 საათზე, თავად კ. ი. აბხაზის ინიციატივით, მიმდინარე მომენტთან დაკავშირებით, ჩემს ბინაზე გაიმართება ქართველთა ჯგუფის კრება. თქვენი დასწრება, მოწვეულთა საერთო ჯრით, უცილობლად საჭიროა".[3]

ნ. ნიკოლაძე არა მარტო საოჯახო მსჯელობებში იღებდა მონაწილეობას, არამედ თავის ჯრს საჯაროდაც გამოთქვამდა. 1917 წ. 13 აპრილს „რუსკაია ვოლიას" რედაქციაში ვრცელი ლექციაც წაიკითხა თემაზე „თავისუფალი საქართველო".[4]

ეს ამბავი საქართველოშიაც შეიტყვეს. ქუთაისელი წიგნების გამომცემელი, თომა მთავრიშვილი, რომელსაც სხვა დროსაც გამოუცია ნ. ნიკოლაძის ნაშრომი,[5] მაშინვე გამოეხმაურა. წერდა: „გაზეთებიდან ამოვიკითხე, რომ პეტროგრადში წაგიკითხავთ მოხსენება „საქართველოს თავისუფლება", რომელიც არ ვიცი დაიბეჭდა რომელსამე გაზეთში ან ჟურნალში თუ არა. ჩემის და

---

[1] რ. ნიკოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 239-240.

[2] ო. ჯანელიძე, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1996, გვ. 5.

[3] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანაწ. №40-1011.

[4] „საქართველო", 1917 წ., 22 აპრილი.

[5] ნ. ნიკოლაძე, მამულის სიყვარული და მსახურება, ქუთაისი, 1914.

სხვა მრავალი პირის ფიქრით, ფრიად სასურველი და სასარგებლო იქნება მისი დაბეჭდვა ცალკე ბროშურად ქართულს ენაზე. ამიტომ მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, გვიბოძოთ ან თვითონ ორიგინალი ამ მოხსენებისა, ან თარგმანი ქართულ ენაზე... თქვენი ღრმა ცოდნა და გონიერი დაკვირვება თავდებია მისი, რომ წიგნი საზოგადოებას მოეწონება და სასარგებლო შეიქნება ჩვენი საზოგადოებისათვის".[1]

იმავე ხანებში საქართველოდან სხვა წერილიც მიიღო, კერძოდ, გაზეთ „ჩვენი ქვეყნის" რედაქტორის, დავით კვირკველიასაგან. აღნიშნული დოკუმენტი დღემდე არსად გამოქვეყნებულა. ვითვალისწინებთ რა მის მნიშვნელობას, როგორც ქართული ჟურნალისტიკის, ისე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიისათვის, წერილი მოგვყავს მთლიანად.

„ჩვენ ყველას კარგად გვესმის, – წერდა დ. კვირკველია ნ. ნიკოლაძეს, – რომ თქვენი პუბლიცისტური მოღვაწეობა რუსულ სატახტო გაზეთებში ჩვენთვის საჭიროა, რადგანაც დღეს ჩვენ რუსეთზე ვართ დამოკიდებული. მაგრამ ჩვენთვის ისიც მეტად სასურველია, რომ თქვენი განსაკუთრებული კალამი ქართულ გამოცემასაც არ მოაკლდეს.

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ დამავალა, – განაგრძობს დ. კვირკველია, – გაზეთ „ჩვენი ქვეყანას" („სამშობლოს" მაგიერია) ხელმძღვანელობა გავუწიო. ეს მძიმე საქმე მე ვიკისრე იმ მოსაზრებით, რომ ჩვენი თანამოაზრეები მე ხელს მომიწყობენ. პირველი, რასაკვირველია, თქვენ მყავდით საბეში, რადგანაც თქვენ ამ მიმართულებას თანაუგრძნობთ.

ახლა ჩემი თხოვნა ამაშია: მომაწოდეთ პეტროგრადიდან წერილები, აგრეთე საინტერესო ცნობები ტელეგრამით. თქვენს ხარჯებს უთუოდ გადავიხდით. სხვა საფასოს კი ვერაფერს შეგპირდებით, მაგრამ ჩვენც და ჩვენი მომავალი თაობაც თქვენს ღვაწლს დავაფასებთ და არ დავივიწყებთ იმ ღვთაებრივ ნიჭს, რომელიც სამშობლოს სამსახურში მუდამ ჩვენთვის საამაყო იქნება.

---

[1] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანაწ. №40-857.

იმედი მაქვს, ნებას მომცემთ გაზეთშიაც გამოვაცხადო, მკითხველების სასიამოვნოთ, რომ თქვენ „ჩვენ ქვეყანაში" თანამშრომლობთ.

მუდამ თქვენი ღრმათ პატივისმცემელი დ. კვირკველია".[1]

ეს წერილი რომ მიიღო, უკვე ემზადებოდა სამშობლოში დასაბრუნებლად. ამდენად, დ. კვირკველიას თხოვნა – დეპეშით მიეწოდებინა საინტერესო ცნობები პეტროგრადში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ვერ შეასრულა. ნიკო ნიკოლაძე 1917 წლის ივნისის პირველ დეკადაში საქართველოში გამოემგზავრა. რაც შეეხება საქართველოს შესახებ „რუსკაია ვოლიას" რედაქციაში წაკითხული ლექციის ცალკე ბროშურად გამოცემას, რომელსაც თ. მთავრიშვილი სთავაზობდა, – ეს საქმეც განუხორციელებელი დარჩა, – იგი არ დაბეჭდილა. აღნიშნული ლექციის ტექსტი არც ნ. ნიკოლაძის არქივს შემორჩენია. საფიქრებელია, საქმე გვქონდეს ზეპირ გამოსვლასთან. სხვათა შორის, თითქმის იმავე საკითხზე, რუსეთიდან დაბრუნების შემდგომ თბილისშიც ისაუბრა. „ნიკო ნიკოლაძე პეტროგრადიდან თბილისს ჩამოვიდა. ის ეხლა ფოთში მიემგზავრება და იქიდან დაბრუნების შემდეგ თბილისში წაიკითხავს ლექციას ეხლანდელ მომენტის შესახებ. ლექციაში დიდი ადგილი ექნება დათმობილი საკითხს საქართველოს შესახებ", – იტყობინებოდა გაზეთი „საქართველო".[2]

ამასობაში სხვა საგულისხმო მოვლენებთან ერთად, საქართველოში ადგილი ჰქონდა ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც: როგორც იქნა, საშველი დაადგა ჯერ კიდევ დიდი ილიას სიცოცხლეში, მისი მონაწილეობით წამოწყებული საქმის დამთავრებას, – შეიქმნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი, რომელმაც 1917 წლის ივნისის დასაწყისისთვის პარტიის დამფუძნებელი ყრილობა მოიწვია. სხვებთან ერთად დელეგატად ნიკო ნიკოლაძეც აირჩიეს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის გახსნის დღეს ნ. ნიკოლაძე პრეზიდიუმის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს.

---

[1] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანაწ. №40-987.

[2] „საქართველო", 1917 წ., 16 ივნისი.

თვითმხილველთა გადმოცემით, „ხანდაზმულ, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანიან და ძველებრ გონებაგამჭრიახ მოღვაწეს" დებატებშიც მიუღია მონაწილეობა, რასაც დელეგატთა დიდი აღფრთოვანება და ოვაციები გამოუწვევია.

ცნობილია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ემყარებოდა იმ საფუძვლებს, რომლებიც თერგდალეულთა იდეურსა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში ჩამოყალიბდა. პარტიის დაარსების მომენტში, ალ. ასათიანის სიტყვით, „მესამოციანელთა მეთაურობიდან მხოლოდ მუდამ ახალგაზრდა, მუდამ მომქმედი და შემომქმედი ნიკო ნიკოლაძე იყო შერჩენილი ცოცხალთა რიგებს. ეს დიდი მოღვაწეც მოექცა ახალი პოლიტიკური დარაზმულობის მეთაურთა რიგებში, და მით ასპარეზზე სამმა თაობამ მოიყარა თავი".[1]

ნიკო ნიკოლაძე გატაცებით ჩაება ახალ საქმიანობაში. მისი დიდი განსწავლულობა და ცხოვრებისეული გამოცდილება მთელი სკოლა იყო, არა მხოლოდ ახალგაზრდებისათვის, არამედ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის.

1918 წლის იანვარში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეორე კონფერენცია გაიმართა. აღსანიშნავია, რომ კონფერენცია მისი მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ნიკო ნიკოლაძემ გახსნა. შესავალ სიტყვაში მან ხაზი გაუსვა საქართველოს სინამდვილეში მომხდარ პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ცვლილებებს, ისაუბრა იმ მიზეზებზე, რომლებმაც აუცილებელი გახადეს პარტიული თავყრილობის გამართვა. ნ. ნიკოლაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხსენებული ცვლილებანი რუსეთის და, კერძოდ, საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრებისა იმდენად საბედისწერო არიან, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას მართებს, რაც შეიძლება მეტი სიდინჯით, სიფრთხილით და სიყვარულით მოეკიდოს იმ საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც შედიან კონფერენციის პროგრამაში.[2]

ნიკო ნიკოლაძე კონფერენციის თავმჯდომარედ აირჩიეს. მისმა

[1] ალ. ასათიანი, ძველი და ახალი მემკვიდრეობა, წიგნი I, ვალანტინე, 1928, გვ. 143.

[2] ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეორე კონფერენციის პირველი დღე „საქართველო", 1918 წ., 16 იანვარი.

აკადემიურმა სიტყვამ და სხდომების დარბაისლურად წარმართვამ დიდად განაპირობა კონფერენციის ნაყოფიერება. გაიმართა საფუძვლიანი მსჯელობა თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის საჭირბოროტო პრობლემებზე, მიღებულ იქნა პარტიის განახლებული პროგრამა და სხვ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მომდევნო, რიგით მესამე კონფერენციაზე, ნიკო ნიკოლაძემ მოხსენება გააკეთა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე – „ჩვენი საფინანსო და სამრეწველო პოლიტიკის შესახებ".

ნ. ნიკოლაძეს დამოუკიდებელი ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური განვითარება შემდეგნაირად წარმოედგინა: „ა. საქართველოს ფინანსიური და ეკონომიური პოლიტიკა უნდა დაფუძნდეს იმავე პრინციპებზე, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ მეომარ სახელმწიფოებს დიდი ომის დროს, ესე იგი, რაც შეიძლება მეტად უნდა გავაძლიეროთ შინაური წარმოება და გადამუშავება ნედლი მასალისა, ხოლო ჩვენი ნაწარმოების უცხოეთში გაზიდვა ისეთის ფორმით და იმ სისტემით უნდა მოეწყოს, რომელიც უცხო ბაზარზე უზრუნველყოფს მის ნამდვილ ფასს და სამაგიეროდ მიგვაღებინებს ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო საქონელს ნორმალურს ფასებში. ამ მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული თვით სახელმწიფოს როლი სხვა და სხვა სახით.

2. საქართველომ უნდა დაიარსოს თავისი საკუთარი ვალუტა.

3. საქართველოს უნდა ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფო ბანკი, აღჭურვილი ემისიის უფლებით.

4. რუსეთის ბანკების, დამზღვევ საზოგადოებების და საპენსიო კასების განყოფილებანი საქართველოში უნდა გაუქმდნენ და მათი პასივის ანგარიში საფუძვლიანად უნდა იყოს გამოკვლეული და უზრუნველყოფილი".[1]

დელეგატებმა გაიზიარეს ნ. ნიკოლაძის აღნიშნული მოსაზრებანი და ისინი კონფერენციის რეზოლუციად მიიღეს.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ნ. ნიკოლაძე თავს არ არიდებდა

---

[1] საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესამე კონფერენცია, „საქართველო", 1919 წ., 13 ივლისი.

ეროვნულ-დემოკრატთა საპროპაგანდო მუშაობას. მის სიტყვას სხვა ხიბლი, სხვა დამაჯერებლობა ჰქონდა. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილ ერთ წერილს, რომელიც ნ. ნიკოლაძისა და ალ. ასათიანის ზესტაფონში სტუმრობას ეხება. კორესპოდენტის სიტყვით, ადგილობრივ საკრებულო დარბაზში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, რათა ენახა და ესმინა ჭაღარა-მოსილი მოღვაწის საუბარი. მის გამოსვლას ტაშით მიეგებნენ. „ბატონი ნიკო დარბაისლური, ბუნებრივი, დინჯი კილოთი და ყველასთვის გასაგები ენით უამბობდა საზოგადოებას, თუ რას განიცდის ამჟამად ქართველი ერი. მან ხაზგასმით და მკაფიოდ გამოსთქვა ის ჯერი, – განაგრძობს კორესპოდენტი, – რომ გარეგანი საქმე ჩვენი სახელმწიფოსი ისეა მოწყობილი, რომ არსაიდამ მას საფრთხე არ მოელის არავისაგან და ამ მხრივ სრულიად უზრუნველყოფილიაო, ხოლო შინაგანი საქმეები დიდათ არეულ-დარეული და თუ ასეთი მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, არ შეიცვალა, ასეთ მერყეობაში იქმნა, დიდი უბედურება მოგველის“.

„ფინანსური სისტემის მოუწესრიგებლობისა გამო, – აღნიშნავს ნ. ნიკოლაძეს, – ჩვენი ქვეყანა დიდს განსაცდელშია. ზოგს ერთად-ერთ გამოსავალ გზად მიაჩნდათ მხოლოდ ოქროს ვალუტის შექმნა, მაგრამ ოქროები და ალმასები რომ გავიჩინოთ, წამხდარ საქმეს ვერ გამოასწორებს და მოუცილებლად საჭიროა ჩვენ თვითონ შევქმნათ ჩვენის ძალ-ღონით ისეთი სისტემა, რომ გაჭირვებიდან თავი დავაღწიოთო. ფინანსურმა კაპიტალმა სამრეწველო კაპიტალი უნდა შესცვალოს, გაიხსნას ფაბრიკა-ქარხნები. ნოეს და აბრაამის დროინდელი მიწის მეურნეობა თანამედროვე ტექნიკის მიხედვით უნდა გამოკეთდეს. საჭიროა თუ სხვა სახელმწიფოებიდან შემოვიტანეთ საქონელი, აქედანაც გავიდეს ჩვენი ნაწარმოები. შრომა, გარჯა, მუყაითობა ყველგან, ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდეს, სხვის ხელში შემჩერე არ უნდა ვიყოთ და მაშინ შეგვიძლია ვიცხოვროთ“, – დასძენდა ორატორი.[1]

გერონტი ქიქოძის მოწმობითაც, „ეს მხრებში ოდნავ მოხრილი მოხუცი (ნ. ნიკოლაძე – ო. ჯ.) ქარიშხალივით იჭრებოდა გაზეთ

[1] ეფრემ მცირე. პარტიული ცხოვრება. ნ. ნიკოლაძე და ალ. ასათიანი ზესტაფონში, „საქართველო“, 1919 წ., 30 სექტემბერი.

„საქართველოს“ რედაქციის ოთახში, რუკას მივარდებოდა და ხელის ფართო მოძრაობით საერთაშორისო პოლიტიკის პერსპექტივებზე იწყებდა მღელვარე საუბარს. ეტყობოდა, რომ ის შეჩვეული იყო მსოფლიო მასშტაბით ზროვნებას“.[1]

მართლაც, ნიკო ნიკოლაძის მსგავს პიროვნებებს შეეძლოთ ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის დაეტყოთ შესამჩნევი კვალი, მაგრამ რაკი ჩვენს დიდ წინაპარს პატარა საქართველოს შვილობა არგუნა ბედმა, ეს უკანასკნელიც იძულებული იყო მცირე ფარგლებს დასჯერებოდა. არტურ ლაისტის სიტყვით, „იმ ადამიანთა შორის, რომელთა გავლენა საქართველოზე ვრცელდებოდა, ყველაზე უნიჭიერესი და სულიერად ყველაზე მაღლა მდგომი, ეჭვს გარეშეა, ნიკო ნიკოლაძე იყო. ეს მაღალნიჭიერი, ჭკვიანი და ევროპულად განათლებული ადამიანი პირველი ქართველი ჟურნალისტია ევროპული მნიშვნელობით. ნიკო ნიკოლაძემ მრავალი ათეული წლის განმავლობაში თავის ერის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვიტა და ნათელი გონებით განჭვრიტა“.[2]

თანამოაზრენი გამორჩეულ პატივს სცემდნენ, ეამაყებოდათ, რომ ეს სახელოვანი კაცი მათი ორგანიზაციის წევრი იყო. ნიკო ნიკოლაძემ თავისი მოღვაწეობით გაამდიდრა და უფრო შინაარსიანი გახადა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორია. „მისი მოხსენებები პარტიულს ყრილობებზედ, მისი რჩევა-დარიგებანი ახალგაზრდა მეგობრებისადმი, მრავალ ათეულ წელთა მაგალითებით დამძიმებული, და მისი პირადი მაგალითი... უდიდესი მნიშვნელობის წამახალისებელი ძალა იყო ახალი პარტიისათვის“, – წერდა ალ. ასათიანი.[3]

ალექსანდრე ასათიანს სხვაზე უკეთ შეეძლო ნ. ნიკოლაძის ეროვნული ღვაწლის დაფასება და შეფასებაც. მას მონოგრაფიაც დაუწერია ამ დიდ სამოციანელზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ნაშრომი დღემდე მიკვლეული არ არის.[4]

---

[1] თ. მაღლაფერიძე, ძალადობა, შიში, სიცრუე, „კრიტიკა“, 1991, №2, გვ. 11.

[2] ვ. ბიბილეიშვილი, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, გვ. 1.

[3] ალ. ასათიანი, ძველი და ახალი მემკვიდრეობა, გვ. 141-142.

[4] ს. ჭირაქაძე ალექსანდრე ასათიანის ნაამაგარი, „ოვერიკ“, პარიზი, 1977, №18, გვ. 16.

დამოუკიდებლობის წინა ხანებში ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოითქვა სხვადასხვა შეხედულება საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის თაობაზე. ეროვნულ-დემოკრატები თავიანთ მზერას გერმანიას მიაპყრობდნენ. პარტიის თაყვანისმცემარის, სპ. კედიას სიტყვით, „საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური სიმპატია და ორიენტაცია იყო ერთად-ერთი: სიმპატია გერმანიის მხედრობისადმი, ორიენტაცია გერმანიისაკენ".[1] სპ. კედიას შეხედულებას იზიარებდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სხვა ლიდერებიც (გრ. ვეშაპელი, რ. გაბაშვილი, შ. ქარუმიძე და სხვ.), რომლებიც საქართველოს სამომავლო კურსსაც გერმანიას უკავშირებდნენ. ამ გარემოებას ნ. ნიკოლაძისათვის ხელი არ შეუშლია, რამდენადმე განსხვავებული აზრი გამოთქვა.

ნიკო ნიკოლაძე უაღრესად რეალისტურად უყურებდა ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს. არათუ ცხოვრებით დაბრძენებული, იგი ადრევე, ახალგაზრდობაშიც ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენდა აღნიშნული პრობლემისადმი. 1865 წელს, გერცენის „კოლოკოლში" გამოქვეყნებულ სტატიაში, მიუთითებდა რა ფაქტზე, რომ ქართველი ხალხი დღითი დღე იმსჭვალება თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით, – იქვე შიშსაც გამოთქვამდა: ეროვნულ მისწრაფებათა გადაჭარბებამ და უდროოდ გამჟღავნებამ შესაძლოა, ზიანი უფრო მოუტანოს საქართველოს, ვიდრე სარგებლობაო.[2] ასეთსავე წინდახედულებას იჩენდა ნ. ნიკოლაძე 1917 წლის დეკემბერში გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილ ვრცელ წერილშიც, რომლის სათაურია „საქართველოს ორიენტაცია". ინტერესს მოკლებული არ იქნება, გავეცნოთ ფრაგმენტებს ამ წერილიდან:

„ორიენტაციის საგანი ქართველობისათვის არც უცხოა, არც უცნობი, – წერდა ნ. ნიკოლაძე, – ბევრჯერ, განსაცდელის ხანაში, მას წინ ატუზვია საბედისწერო კითხვა: „ვის მივმართოთ, რა გზა გვიჯობსო?.. ამ კითხვას დღემდი ხალხში და მწერლობაში „ქართლის ცხოვრების" მიმართულება" ერქვა. ეხლა კი, როცა მას

---

[1] სპ. კედია, გერმანია-საქართველოს მეგობრობისათვის, „საქართველო", 1918 წ., 8 ოქტომბერი.

[2] ნ. ნიკოლაძე, გლეხთა განთავისუფლება საქართველოში, თხზ., ტ. 1, თბ., 1962, გვ. 264-265.

„საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია“ უწოდეს, გვგონია, ვითომ ახალი რამ გაგვეჩინოს და ამ ძველ ამოცანას ჩვენს ქეიფზე ვატრიალებთ...

„ორიენტაცია“... ადამიანის ხელით როდი კეთდება, – მიუთითებდა ნ. ნიკოლაძე. – ყოველი ქვეყნის მიმართულება, ან ორიენტაცია მისი გეოგრაფიული მდებარეობის და მეზობლების მდგომარეობის ნაყოფია. როგორც ყოველი სხვა ცხოვრებისმძებნი არსება, საქართველოც ვერ გაექცეოდა ამ ბუნების კანონს. ერთი და იგივე ძალა მართავს ქვეყნიერების ფიზიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას, ის, რომელიც მთვარეს აბრუნებს დედამიწის ირგვლივ და მათ ორივეს – მზის გარშემო... ორიენტაცია... შთაგონებით არ ხერხდება. ხალხი, როგორც ყოველი ცოცხალი არსება, თავისთავად მუდამ იქით იქცევს პირს, საიდანაც მზე სხივს ჰფენს და ღვივის. საქართველო წარსულში „ორიენტაციას“ ყოველთვის იქით მიმართავდა ხოლმე, საიდანაც სინათლე და მოძრაობა მოდიოდა. შემცდარია, ვინც ფიქრობს, ვითომც რომელიმე მეფეს, წოდებას ან თაობას თავის ნებაზე შეძლებოდეს საქართველოს აქეთ თუ იქით მიბრუნება. სანამ განათლება და ცხოვრება ბიზანტიაში ენთო, საქართველოსაც მზესუმზირასავით თვალი იქით ეკავა. როცა სპარსეთი აყვავდა ინდოეთის კულტურაზე დაწაფებით, ჩვენი აღორძინებაც მისკენ მიიმართა, ჯვრი მისკენ გვქონდა. პეტრე დიდის და ეკატერინე მეორის ამაგმა რუსეთი რომ გააჩაღა, საქართველოც ძალაუნებურათ მან წარიტაცა. ფიზიკის კანონით, როცა სხვადასხვა ძალა ერთ და იმავე საგანს თავისკენ უქაჩავებს, ამ საგნის მდებარეობას სწყვეტს მებრძოლი ძალების უძლიერესობა. – საგანს – უნდა, თუ არ უნდა – ყოველთვის მომრევი გადითრევს.

აქედან ცხადია, „ორიენტაციაში“ ჩვენ სარჩევი და სადავო არა გვაქვს რა... გონიერება იმას უნდა ვალიოთ, რომ ფხიზლად თვალი ვადევნოთ, თუ ჩვენს გარშემო რა ძალები ვარჯიშობენ, რა ურთიერთ განწყობილებაში დგებიან?“ — დასძენდა ნ. ნიკოლაძე.[1]

1917 წლის შემოდგომაზე, ქართული პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლობითმა ორგანომ, რომელსაც ინტერპარ-

[1] ნ. ნიკოლაძე, სამერმისო. 4. საქართველოს ორიენტაცია, „საქართველო“, 1917 წ., 16 დეკემბერი.

ტიული საბჭო ეწოდებოდა, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა მოიწვია. ყრილობის დელეგატები პოლიტიკურმა პარტიებმა, ქალაქების თვითმმართველობებმა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, საფინანსო თუ სავაჭრო-სამრეწველო უწყებებმა, პროფესიულმა და კოოპერატიულმა გაერთიანებებმა, პერიოდული პრესის რედაქციებმა და სხვ. წარადგინეს. ყრილობის მონაწილეთა შორის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ნიკო ნიკოლაძეს. იგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარგზავნილი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. ნიკოლაძე, როგორც ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ეროვნული ყრილობის დელეგატად ამ ქალაქის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების საბჭომაც აირჩია.[1]

ნ. ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძისა და სხვა სამოციანელთა მსგავსად, მუდამ ეროვნული ძალების ერთ ბანაკად შეკავშირების საჭიროებას ქადაგებდა. ამ მხრივ შთამბეჭდავია მისი სიტყვა, თქმული აკაკი წერეთელთან უკანასკნელი გამოთხოვებისას. „ხედავთ, რამხელა ჯარი გვყოლია? – მიმართავდა ნ. ნიკოლაძე მგოსნის კუბოს გარშემორტყმულ მრავალათასიან აუდიტორიას, – ოღონდ შტაბი არსად გაგვაჩნია, ურომლისოდ ამ განსაცდელით სავსე დროში ერი არა თუ წინ ვერ წაიწევს, ვერც კი გასძლებს. იქნებ აკაკის ხსოვნამ ის სასწაული მოახდინოს, რომ დღევანდელი ჩვენი ერთობა და ერთი ხელმძღვანელობის მორჩილება ისეთივე მუდმივი გახადოს მამულის სახეიროდ, როგორც უკვდავი დარჩება ჩვენში აკაკის სახელი".[2]

ეროვნული ყრილობა სწორედ ამგვარი ერთიანობის პრაქტიკული განხორციელება იყო. უკანასკნელი დიდი თერგდალეული აღფრთოვანებით მიეგება ამ მოვლენას. 1917 წლის 11 ნოემბერს, თბილისში, ხალხით გაჭედილ ეროვნულ კლუბში სიტყვა წარმოთქვა. მსმენელნი მქუხარე ტაშითა და კმაყოფილებით შეხვდნენ მხცოვანი მოღვაწის გამოსვლას.[1]

ეროვნულ ყრილობასთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძემ თავისი

---

[1] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანაწ. №40-1029.

[2] ნ. ნიკოლაძის სიტყვა აკაკის დაკრძალვის დღეს ერევნის მოედანზე, „სახალხო ფურცელი", 1915 წ., 10 თებერვალი.

ჯრი პრესაშიც გამოთქვა. მისი სიტყვით, ყრილობას „ნამდვილი დამფუძნებელი ხასიათი უნდა მიეცეს. თუ მან ჩვენი ერის მთლიანობა და მართვა არ შექმნა, საქართველოსაც ის ბედი ელის, რაც რუსეთს ერგო... ყრილობის დანიშნულებაა, – წერდა ნ. ნიკოლაძე, – საქართველოს კონსტიტუცია შეუდგინოს, ესე იგი წესი და მართვა გაუჩინოს".

იმავე დროს ნ. ნიკოლაძე თანამემამულეებს ზომიერებისა და სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა: „ნუ გავიმეორებთ სხვის შეცდომას, ქვეყნის მაგალითით ვისარგებლოთ. ნამეტანი არ ვარგა... ბედნიერათ ჩავთვალოთ თავი, თუ შევძლოთ დავუმკვიდროთ სამშობლოს რაც სხვას გამოადგა". ბრძენი ერისკაცი სხვა საგულისხმო დებულებასაც გამოთქვამდა, სახელდობრ ასეთს: „... მომავალმა საერო ყრილობამ თავის წესებს და ორგანოებს ცალმხრივი პარტიული ხასიათი არ უნდა მისცეს. პარტიებს ეკუთვნის პირველ ხანაში ყოველგან უფრო ზედამხედველობა და მოწყობა შეძენილი უფლებების დაურღვევლობისა. ქვეყანას კი, ამას გარდა, სხვაც ბევრი რამ სჭირია. რუსეთის რევოლუცია, იქნებ, ასე მალე არ გაკოტრებულიყოს, პოლიტიკურ პარტიებს, საქმიანობაში გამოუცდელებს, თვითონ რომ არ ეკისრათ ქვეყნის მართვა. ეს ტვირთი მცოდნე სპეციალისტებისთვის უნდა მიენდოთ. ესენი ბევრად უკეთ მოაწყობდნენ ხალხის რჩენას, ფულის შოვნას, ჯარის წყობას, ზავის მზადებას, გზების მართვას, საქონლის ზიდვას და სხვა და სხვა. ამ მმართველებზე პარტიებს ფხიზელი ზედამხედველობა რომ ჰქონოდათ, მათი საქმეც უკეთ წავიდოდა და რუსეთისაც"...[2]

ეროვნული ყრილობა 1917 წლის 19-22 ნოემბერს გაიმართა. ყრილობაზე ნ. ნიკოლაძე საფინანსოსექციის თავმჯდომარედ აირჩიეს.[3] მან ჩვეული პასუხისმგებლობით შეისწავლა საქართველოს ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობანი და თავისი თვალსაზრისი საჯაროდ გამოხატა ამ საკითხისადმი მიძღვნილ საგანგებო სტატიაში. ნ. ნიკოლაძის ჯრით, ვიდრე საქართველო

---

[1] „საქართველო", 1917 წ., 14 ნოემბერი.

[2] ნ. ნიკოლაძე, სამერმისო. I. ეროვნული ყრილობა, „საქართველო", 1917 წ., 14 ნოემბერი.

[3] „საქართველო", 1917 წ., 23 ნოემბერი.

რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაშია ერთი საფინანსო პოლიტიკა გვჭირდება, ხოლო როცა ცალკე დავრჩებით, უნდა სხვაგვარ გზას დავადგეთ. „სანამ არსებობს ჩვენი ქვეყნის ერთობა და მისვლა-მოსვლა რუსეთთან, – მიუთითებდა ნ. ნიკოლაძე, – უნდა ვაწარმოოთ ერთი ფინანსური პოლიტიკა, და სულ სხვაგვარი გეგმა და ზომები გვიდგება წინ, როცა ეს კავშირი თავისთავად სწყდება. აგრეთვე, როცა მოქმედობს დღევანდელი დროებითი ამერკავკასიის მმართველობა, ჩვენს ქვეყანას და მის საბჭოს ბევრად ნაკლები ფინანსური საშუალება სჭირია, ვინემ მაშინ, როდესაც ეს მმართველობა დაუძლურდება“.

არანაკლებ საყურადღებოა ნ. ნიკოლაძის შეხედულება საკითხზე – შეეძლო თუ არა საქართველოს თავისი მომავლის ფინანსური უზრუნველყოფა. დასკვნა დადებითი იყო. „ფინანსური სექციის გამოკვლევით, მისი რწმენით, – წერდა ნ. ნიკოლაძე, – ნორმალურ პირობებში საქართველოს შემოსავალი და ფინანსური ძალა მის ხარჯს და პოლიტიკურ საჭიროებებს დაფარავს... რასაც უნდა გვიქადდეს მომავალი, ფინანსური შესაძლებლობა საქართველოსი მხარს გაუმაგრებს მის პოლიტიკურ მდგომარეობას“.[1]

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო, რომელიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ფაქტობრივად საქართველოს ხელისუფლებას წარმოადგენდა, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდგომ იგი საკანონმდებლო ორგანოდ იქცა პარლამენტის ფუნქციით.

ეროვნული საბჭოს პირველ სხდომაზე, 1917 წლის 26 ნოემბერს, არჩეულ იქნა 15 წევრისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას აღმასკომში ორი წარმომადგენელი ჰყავდა – გ. გვაზავა და გრ. ვეშაპელი. ნ. ნიკოლაძე და სპ. კედია საბჭოს აღმასკომის წევრობის კანდიდატებად აირჩიეს. ნიკო ნიკოლაძის ღრმა ცოდნა და მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება დიდად წაადგა ეროვნული საბჭოს საქმიანობას.

---

[1] ნ. ნიკოლაძე, სამერმისო. 2. საქართველოს ფინანსები, „საქართველო“, 1917 წ., 26 ნოემბერი.

ეროვნულმა საბჭომ შექმნა მუდმივი და დროებითი კომისიები. ნ. ნიკოლაძე საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო და გზათა მუდმივი კომისიების შემადგენლობაში იყო არჩეული. მოგვიანებით, როცა იგი საზღვარგარეთ გაემგზავრა, ნ. ნიკოლაძის ადგილი საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში ალ. ასათიანმა დაიკავა, ხოლო გზათა კომისიაში ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ რ. გაბაშვილი წარგზავნა.[1]

ნ. ნიკოლაძე მხოლოდ კომისიებში მუშაობით არ იფარგლებოდა. იგი თავის კომპეტენტურ აზრს ზოგჯერ საბჭოს პლენარულ სხდომებზეც გამოთქვამდა. მაგალითად, 1917 წლის 17 დეკემბერს, ეროვნულ საბჭოში განიხილებოდა საგარეო პოლიტიკის საკითხი. ბუნებრივია, შეეხნენ საქართველოს საზღვრების მდგომარეობას. მომხსენებელი იყო აკ. ჩხენკელი, რომელმაც აღნიშნა, რომ კავკასიის მთიელებთან მყარდება ნორმალური ურთიერთობა. მათ აინტერესებთ შავ ზღვაზე გასასვლელი. ჩვენ ვუჭვენეთ ტუაფსესთან, რაც მიიღეს სახელმძღვანელოდ. აკ. ჩხენკელის სიტყვით, „მთიელებს უნდათ სამხრეთ საზღვარი ჩამოსწიონ დუშეთის მაზრაში".

თავის მოკლე გამოსვლაში ნ. ნიკოლაძემ დაასაბუთა ამგვარი პრეტენზიის უსაფუძვლობა და ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი საზღვარი დარიალის ხეობას უნდა გასცდეს და ლარსამდის მიაღწიოს, მით უმეტეს, რომ ეს აუცილებლად საჭიროა მომავალ საუღელტეხილო რკინიგზისათვის. „თუ გვინდა ამ რკინიგზამ სარგებლობა მოგვიტანოს, დასძენდა ნ. ნიკოლაძე, – ამ საზღვრიდან არც ერთი ნაბიჯის დათმობა არ შეიძლება".[2]

1918 წლის მარტში ნ. ნიკოლაძემ გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე ვრცელი წერილი გამოაქვეყნა, რომელსაც ასეთი სათაური ჰქონდა: „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი". წერილის პირველ ნაწილში პუბლიცისტი საუბრობდა რუსეთის რევოლუციის ეტაპებზე და აღნიშნავდა, რომ დიდებულად დაწყებული რევოლუცია, რომელმაც აღგავა ქვეყნის პირიდან ევროპის ჟანდარმი და მოსპო ულმობელი მტარვალი-აბსოლუტიზმი, მალე

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფ. 1836, ანაწ. 1, საქ. №127, ფურც. 42-44.

[2] იქვე, საქ. №9, ფურც. 24.

გადაიქცა ბუნტად და ანარქიად. სამხედრო და პროლეტართა რევოლუციას მოჰყვა საბედისწერო მარცხი. დამყარდა სამხედრო და პროლეტარული დიქტატურა. სახელმწიფომ იწყო ბორძიკი, უკან დახევა და უფსკრულში გადიჩეხა.

ნ. ნიკოლაძის სიტყვით, მას შემდგომ რაც რუსეთში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ბოლშევიკებმა, დაიწყო რევოლუციის მეორე ხანა, – „ხანა ტერორის, ცეცხლისა და მახვილისა". ნ. ნიკოლაძე ასაბუთებდა, რომ რუსეთი არ არის მზად სოციალიზმისათვის, რომლის დამყარებას ლამობენ ბოლშევიკები. „ამ მეოცნებე მქადაგებელთ დაავიწყდათ, რომ ჯერ რუსის ხალხმა უნდა განვლოს ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური გრძელი ხანა, პარლამენტარიზმი, შემდეგ დემოკრატიული ეპოქა და სხვ. ამისათვის კი საჭიროა მთელი საუკუნეები", – წერდა იგი და დასძენდა: „რა გინდ კარგი იყოს თესლი, იგი არ აღმოცენდება და ნაყოფს არ დაისხამს, თუ ამ თესლს არა აქვს შესაფერად შემზადებული ნიადაგი. რუსის ხალხი კი წარმოადგენს ისეთ კლდოვან, ყამირ მიწას, რომლის დამუშავებას და შემზადებას სოციალიზმის სათუთ თესლისათვის სჭირდება მთელი საუკუნეები".

პუბლიკაციის მეორე ნაწილში ნ. ნიკოლაძე მოკლედ აღწერდა იმ საშინელებებს, რაც თავს დაატყდა რუსეთის მპყრობელობაში მოქცეულ საქართველოს საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში; ხაზს უსვამდა, რომ ცარიზმის პოლიტიკა იყო „ერის გარუსების, გადაგვარების, მოსპობის, გალატაკების და განადგურების სატანური პოლიტიკა"... რუსის მთავრობამ მოიწადინა ქართული სულის ამოგლეჯა, ე.ი. ჩაიდინა ის, რაც არ ჩაუდენიათ ჩვენში ჯინის უსაშინლეს მტარვალებს 2000 წლის განმავლობაში, მაგრამ ქართველმა ერმა გაუძლო ასეთ „ულმობელ ინკვიზიციას" და შეინარჩუნა ეროვნული სახე, მხნეობა და არსებობა. მიუხედავად ამისა, – მიუთითებდა ნ. ნიკოლაძე, – „რუსეთის ბატონობამ მძიმე ბეჭედი დაასვა ქართველი ერის სულს,.. დასტყვა ერის ფსიქიკა, ნიჭი, ინიციატივა და შემოქმედება, ეროვნული გრძნობა და შემეცნება".

ყოველივე ამის გამოძახილად მიაჩნდა ნ. ნიკოლაძეს ის გარემოება, რომ საქართველოში სხვაზე ადრე წარმოიშვა და გაძლიერდა სოციალ-დემოკრატიული პარტია თავისი კოსმოპოლი-

ტური მრწამსით და ცენტრალისტური მისწრაფებით. პუბლიცისტის სიტყვით, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიის რღვევა დაიწყო, თვითმპყრობელობის მიერ წინათ ჩაგრული ერები ცალკე რესპუბლიკების შექმნის გზას დაადგნენ, „რუსის ორიენტაციის დამღუპველ ბურანში გახვეულ" სოციალ-დემოკრატიულ პარტიას კი ჩვენში დღესაც ვერ გაუბედია „ქართველი ერის ახალი ბედის დამოუკიდებლობის გრდემლზე გამოჭედვა".

ნ. ნიკოლაძეს უდიდეს შეცდომად და ისტორიის წინაშე დანაშაულად მიაჩნდა, რომ სოციალ-დემოკრატთა ზეგავლენით ეროვნულმა ყრილობამ ვერ გაბედა და ვერ გამოაცხადა საქართველოს სუვერენობა, ვერ შექმნა საქართველოს ეროვნული მთავრობა. ეს იყო უდიდესი მარცხი ქართველი ერის ცხოვრებაში, რასაც დამღუპველი შედეგები (ბრესტის ზავი და საომარი კონფლიქტი ოსმალეთთან) მოჰყვა, – წერდა იგი. წერილის დასასრულს კი იმედს გამოთქვამდა, რომ ქართველი ერი ამ დიდ განსაცდელს თავს დააღწევდა, ოსმალეთიც კეთილგონიერებას გამოიჩენდა და ურთიერთდათმობების გზით მშვიდობიანობა დამყარდებოდა.[1]

ნიკო ნიკოლაძემ 1918 წ. აპრილ-მაისში აკ. ჩხენკელთან ერთად მონაწილეობა მიიღო ბათუმში გამართულ ოსმალეთ-ამიერკავკასიის სამშვიდობო კონფერენციის მუშაობაში. ეს იყო უაღრესად რთული და ძნელი მისია. ჩვენი დელეგატები მოლაპარაკებაზე წარმოადგენდნენ ამიერკავკასიის სეიმს და არა საქართველოს. მათთან ერთად ბათუმში გაგზავნილი იყვნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებიც. ამიერკავკასიის რესპუბლიკა, რომელმაც 1918 წ. 9 აპრილს თავი რუსეთისაგან ჩამოშორებულად გამოაცხადა, ნაუცბადევად შექმნილ კონგლომერატს წარმოადგენდა. ამ „უხერხემლო მოლუსკს", როგორც ზ. ავალიშვილი უწოდებდა, არ ეწერა დიდი ხნის არსებობა. მრავალი შინაგანი წინააღმდეგობა და უთანხმოება ახლად შექმნილ რესპუბლიკას მკვდრადშობილს ხდიდა. არ იყო ერთსულოვნება მოლაპარაკებაზე მყოფ ამიერკავკასიის დელეგაციაშიც. ამას ემატებოდა ისიც, რომ რუსეთის ჯარებმა თვითნებურად მიატოვეს კავკასიის ფრონტი, ხოლო ბრესტის ზავით მადააღძრული

[1] ნ. ნიკოლაძე, რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი, „საქართველო", 1918 წ., 22, 24, 27 მარტი.

ოსმალეთი, რომელსაც სათანადო წინააღმდეგობა აღარ ხვდებოდა (ამიერკავკასიას არ გააჩნდა ძლიერი არმია), ენერგიულად მიიწევდა კავკასიის სიღრმეში და ახალ ტერიტორიებს ეუფლებოდა. შექმნილ ვითარებაში ქართველებმა მიმართეს გერმანიას, – რომლის მისიაც ესწრებოდა ბათუმის კონფერენციას. გერმანიასთან დაკავშირების გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა საქართველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც 1918 წ. 22 მაისს იქვე, ბათუმში, გაიმართა. აქ იყვნენ: ზ. ავალიშვილი, აკ. ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე, ნ. ჟორდანია და პ. სურგულაძე. სწორედ ამ ისტორიულ შეხვედრაზე გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი.[1] ბედმა ამ საკითხის გადაწყვეტა ერთ-ერთ დიდ სამოციანელსაც არგუნა. აი, როგორ ახასიათებს მას ზ. ავალიშვილი თავის ცნობილ წიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“: „ნიკო ნიკოლაძე მეტად ადვილად ატარებდა თავის 75 წლის სიმძიმეს... ულევი მეხსიერება, ცოდნა ოსმალეთ-კავკასიის დამოკიდებულებისა, მუსაიფის მჩქეფარე ნიჭი, თვალებში ცეცხლის ნაპერწკლები თეთრ წვერთან და წარმოსადეგ შეხედულებასთან ერთად, ყველაფერი ეს ძლიერ სასარგებლოდ ჰქმნიდა მის ყოფნას ბათუმში“.[2]

ნიკო ნიკოლაძის დიდ ავტორიტეტს მკაფიოდ მოწმობს ერთი საარქივო დოკუმენტიც. ეს არის ბათუმიდან თბილისში გამოგზავნილი აკაკი ჩხენკელის საიდუმლო წერილი ნოე რამიშვილისადმი. აკ. ჩხენკელი წერილში განმარტავს მოლაპარაკებაზე შექმნილ მდგომარეობას, ცდილობს დაარწმუნოს ადრესატი და მისი მეშვეობით ეროვნული საბჭოც, რომ ამ ვითარებაში აუცილებელია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. თავის არგუმენტაციას რომ მეტი სიმტკიცე და დამაჯერებლობა შესძინოს, ადრესანტი წერილზე ნ. ნიკოლაძის ვიზასაც ურთავს. „ამ პოლიტიკას სავსებით ვიზიარებ და ვეთანხმები. ნ. ნიკოლაძე“, – აწერია აღნიშნულ დოკუმენტს.[1]

მართლაც, 1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ მიიღო

---

[1] ო. ჯანელიძე, 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 1990, გვ. 9.

[2] ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I, თბ., 1990, გვ. 55.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. ასრულდა ქართველი ერის საუკუნოვანი ნატვრა და ოცნება, საქართველომ აღიდგინა საკუთარი სახელმწიფოებრიობა. ახლა უმთავრესი ამოცანა მიღწეულის დამკვიდრება და შენარჩუნება იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე დღესვე, ნ. ნიკოლაძე ბათუმიდან ფოთში გაემგზავრა, სადაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის დროებითი შეთანხმება გაფორმდა. დოკუმენტს ხელი მოაწერეს, გერმანიის მხრივ, ამ ქვეყნის სამპერატორო კარის წარმომადგენელმა, გენერალ-მაიორმა ფონ-ლოსოვმა, ხოლო საქართველოს მხრივ, ახლად დაარსებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აკ. ჩხენკელმა. მოლაპარაკებაში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. რამიშვილიც იღებდა მონაწილეობას.

შეთანხმების ძალით, რომელიც ხუთ მუხლს შეიცავდა, გერმანია ფაქტობრივად აღიარებდა საქართველოს მთავრობას, ხოლო ომის განმავლობაში საქართველოს რკინიგზაზე გერმანიის კონტროლი წესდებოდა. აღნიშნულის გარდა, ფოთშივე დაიდო ორი დამატებითი ხელშეკრულება და სამი სპეციალური კონვენცია. ამით საქართველო თავიდან იცილებდა თურქეთის მხრიდან მოსალოდნელ ოკუპაციას, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ამავე დროს, იმპერიის რწმუნებული ვალდებულებას იღებდა, რომ მისი ქვეყანა საქართველოს საზღვრების დაცვასა და მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთკავშირის დამყარებაში დაეხმარებოდა.[2]

ფოთის საერთაშორისო დოკუმენტების შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ნიკო ნიკოლაძემ. ამიტომაც, სრულიად ბუნებრივი იყო, რომ იგი ჩართეს საქართველოს ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც, იმავე დღეებში, ფოთიდან ბერლინს გაემართა, გერმანიის იმპერიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. ქართველთა მიზანს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მიღწევა და გერმანიასთან გარკვეული ეკონომიკური

[1] სცსსა, ფ. 1861, ანაწ. 2, საქ. №23, ფურც. 8-9.
[2] ზ. ავალიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 89.

ხელშეკრულების დადება შეადგენდა.

საქართველოს წარგზავნილები გერმანიაში 1918 ივნისის დამდეგს ჩავიდნენ. დელეგაციას შეხვედრა ჰქონდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან რ. ფონ კიულმანთან, სხვა გავლენიან პირებთან, რომლებსაც წარუდგინეს საქართველოს მემორანდუმი. ამ საგულისხმო დოკუმენტის პოლიტიკური ნაწილი ზ. ავალიშვილმა შეიმუშავა, ხოლო ეკონომიკური მიმოხილვა ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის. ამ უკანასკნელში გადმოცემული იყო ცნობები საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი სიმდიდრეების და სხვ. შესახებ. დასაბუთებული იყო სარგებლობა, რაც საქართველოს მოკავშირეობას შეეძლო მიეცა გერმანიისათვის. ზ. ავალიშვილის სიტყვით, ნ. ნიკოლაძე კიულმანთან საუბრისას ასაბუთებდა იდეას შუა ევროპის შორეულ აღმოსავლეთთან ვაჭრობის ფოთზე გატარების შესახებ (ბერლინი – ფოთი – პეკინი). ეს იდეა – კავკასიური დერეფნის სახელწოდებით ამჟამად რეალურად ისპამს ხორცს.

ქართული დელეგაციის მისია წარმატებით დასრულდა. 1918 წ. ოქტომბერში ნ. ნიკოლაძე ბერლინიდან სამშობლოში დაბრუნდა. მან საქართველოს პარლამენტის დახურულ სხდომაზე გააკეთა მოხსენება გერმანიასთან დადებული ეკონომიკური ხელშეკრულების თაობაზე.[1] ამასთან დაკავშირებით რაფიელ ინგლო (ივანიცკი) გაზეთ „საქართველოში“ მიუთითებდა: „პირუთვნელობა გვავალებს ხაზგასმით აღვნიშნოთ ჩვენი რესპუბლიკის რწმუნებულთა ნაყოფიერი მოღვაწეობა მათთვის უცნობ დიპლომატიურ სფეროში, რაიც უმეტესად გამოიხატება იმაში, რომ შედარებით მოკლე დროის განმავლობაში მათ მოახერხეს გაჭირვებაში მყოფ სახელმწიფოსათვის აუცილებელ სახეირო პოლიტიკურ-ეკონომიკურ პირობების შექმნა...

ჩვენ თავიდანვე დაიმედებულნი ვიყავით დელეგაციის ნაყოფიერ მოქმედებაში იმ ფარგლებში, რომელიც მას მიკუთვნილი ჰქონდა საქართველოს მთავრობისაგან. ნ. ნიკოლაძის მონაწილეობა ოფიციალურ მოლაპარაკებაში გარანტიას გვაძლევდა, რომ მისთვის ჩაბარებული ეკონომიკური მისია საქართველოსათვის სასიკეთოდ დამთავრდებოდა, რაშიაც პარლამენტი და მთავრობა დარწმუნდა

[1] „კლდე“, 1918 წ., 20 ოქტომბერი.

17 ოქტომბრის სხდომაზე, რომელზედაც მცხოვანმა მოღვაწემ ჩვეულებრივის სიდარბაისლით და შთაგონებით გაახსენა ერის მესვეურთ ბერლინში შესრულებული დიდი სახელმწიფოებრივი საქმე".[1]

საქართველოს მთავრობის მესვეურები სათანადოდ აფასებდნენ ნ. ნიკოლაძის ნიჭს, უნარსა და ავტორიტეტს. ერთი, დღემდე უცნობი საარქივო დოკუმენტის თანახმად, მთავრობას ნიკო ნიკოლაძე რესპუბლიკის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის გ. ჟურულის თანაშემწედ მოუწვევია.[2]

1919 წლის თებერვალში ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო-დამფუძნებელი კრება მოწოდებული იყო გამოეხატა ერის უზენაესი ნება და მისწრაფებანი. ამიტომაც უწოდა მას შალვა ნუცუბიძემ „საქართველოს ცნობიერების გვირგვინი".[3]

არჩევნებში, რომელიც პროპორციული სისტემით მოეწყო, საქართველოში მოქმედი 15 პოლიტიკური ორგანიზაცია იღებდა მონაწილეობას. მათ შორის იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ეროვნულ-დემოკრატებმა არჩევნებამდე ერთი თვით ადრე მცირე პარტიული კონფერენცია მოიწვიეს, რომელზედაც თავიანთი დეპუტატობის კანდიდატთა სია დაამტკიცეს. სიაში პირველ ნომრად პარტიის უხუცესი წევრი – ნ. ნიკოლაძე იყო დასახელებული. ილია ჭავჭავაძის ღირსეული თანამებრძოლი და თერგდალეულთა უკანასკნელი მოჰიკანი, თავისუფალი საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში, არა მხოლოდ სიმბოლურად, რეალურადაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლ თაობათა უწყვეტ კავშირს განასახიერებდა.

არქივმა კენჭისყრაში ნ. ნიკოლაძის მონაწილეობის თანხმობა შემოგვინახა, – შედგენილი მისივე ხელით და დამოწმებული დიდი ჯიხაიშის საზოგადოების კომისრის ბეჭდით: „მე, ქვემორე ხელის მომწერი ამით ვაცხადებ თანხმობას, რომ ჩარიცხულ ვიყო

---

[1] რ. ინგილო, საქართველოს დელეგაციის მოღვაწეობიდან, „საქართველო", 1918 წ., 19 ოქტომბერი.

[2] სცსა, ფ. 1836, ანწ., 1, საქ. №120, ფურც. 1.

[3] „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წ., 4 მაისი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიაში საარჩევნოთ დამფუძნებელ კრებისთვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა. ნიკოლოზ იაკობის-ძე ნიკოლაძე. 9 იანვარი, 1919 წ. სოფ. დიდი ჯიხაში".[1]

დამფუძნებელი კრებისათვის მზადების პარალელურად, საქართველოში საქალაქო თვითმმართველობათა წინასაარჩევნო კამპანიაც მიმდინარეობდა. თბილისის საქალაქო არჩევნებში, რომელიც 1919 წლის 1-2 თებერვალს გაიმართა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მისგან გამოყოფილ რადიკალ-დემოკრატიულ პარტიასთან და უპარტიოთა კავშირთან ბლოკში გამოვიდა. ხმოსანთა კანდიდატების გაერთიანებულ სიას სათავეში კვლავ ნ. ნიკოლაძე ედგა.[2] ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო ბლოკმა 10 მანდატი მიიღო.[3] ამრიგად, ნიკო ნიკოლაძე თბილისის საქალაქო თვითმმართველობის ხმოსანი გახდა. სხვათა შორის, ნ. ნიკოლაძე თბილისის სათათბიროს ხმოსნად პირველად ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში იყო არჩეული,[4] ხოლო ფოთის ქალაქის თავად მან თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე იმუშავა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მიღებული ხმების ოდენობით, სოციალ-დემოკრატების შემდგომ, მეორე ადგილი დაიკავა და 8 დეპუტატი გაიყვანა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი, მრავალპარტიული არჩევნებით შექმნილი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატები გახდნენ: ნიკო ნიკოლაძე, სპირიდონ კედია, გერონტი ქიქოძე, გიორგი გვაზავა, ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ მაჭავარიანი, ალექსანდრე ასათიანი და პეტრე სურგულაძე. ნ. ნიკოლაძეს დამფუძნებელი კრების უფროსი ამხანაგის (დღევანდელი ტერმინოლოგიით-პირველი მოადგილე, – ო. ჯ.)., ალ. ლომთათიძის, მდივან კ. ჯაფარიძისა და ქვესტორის ს. ჟორჟოლიანის ხელმოწერით გადაეცა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის მუდმივი მოწმობა, №83.

---

[1] სცსსა, ფ. 1834, ანაწ. 2, საქ. №80, ფურც. 12.

[2] „საქართველო", 1919 წ., 25 იანვარი.

[3] „სახალხო საქმე", 1919 წ., 5 თებერვალი.

[4] ალ. ბენდიანიშვილი, ნიკო ნიკოლაძე და თბილისის საქალაქო თვითმმართველობა, „მნათობი", 1958, №12, გვ. 137.

ნიკო ნიკოლაძე ჩვეული გულისხმიერებით ჩაება საკანონმდებლო მუშაობაში. იგი დიდად აფასებდა დამფუძნებელ კრებას, რომლის წევრობა საპატიო და საამაყო მოვალეობად მიაჩნდა. არჩეული იყო გზათა კომისიის შემადგენლობაში, სისტემატიურად ესწრებოდა პლენარულ სხდომებს. ყველგან და ყოველთვის უფრთხილდებოდა კრების სახელსა და ღირსებას, თვლიდა, რომ აქ წვრილმან და კერძო საკითხებისათვის არ უნდა მოცდენილიყვნენ. დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან „ყოველი სიტყვა უნდა იყოს ნათქვამი დაფიქრებულად და პასუხისგებით", – ამბობდა ნ. ნიკოლაძე. თვითონ იშვიათად ითხოვდა სიტყვას, ამიტომაც დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიულ ანგარიშებში მისი მხოლოდ სუთი-ექვსი გამოსვლაა დაფიქრებული (იხ. დანართი).

ნ. ნიკოლაძე, როგორც ეროვნულ-დემოკრატი, ოპოზიციაში ედგა სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას, აკრიტიკებდა მთავრობის ეკონომიკურ და საფინანსო პოლიტიკას, ასაბუთებდა, რომ ქვეყნის ხსნა წარმოებისა და მრეწველობის განვითარებაშია. საჭიროდ თვლიდა დაყრდნობოდნენ შრომის ეკონომიკის პრინციპს: „უნდა ვაწარმოოთ, ვთესოთ და მოვიყვანოთ ის, რაც მეტ მოგებას მოგვცემს,... უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოეთის ვთხოვთ საყიდ საქონელს... სხვა გზა ჩვენი წარმატებისათვის არ არსებობს, მხოლოდ აქიდან გაგვიჩნდება საშუალება მოვუაროთ ჩვენ თავს და შევინახოთ ჩვენი დამოუკიდებლობა და თვითარსობაც", – მიუთითებდა იგი დამფუძნებელ კრებაში გამოსვლისას.[1]

ნ. ნიკოლაძე ხელისუფლებისაგან საქართველოს სუვერენიტეტის მეტი სიმტკიცით დაცვას მოითხოვდა. მოუწოდებდა, დაუნდობლად გასწორებოდნენ ყველას, ვინც ბოროტად შეეხებოდა ამ წმიდათაწმიდას. დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან იგი არწმუნებდა მთავრობას, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებს შორის „თქვენ მოწინააღმდეგე არა გყოლიათ და არც გეყოლებათ, სანამ თქვენ დგეხართ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და

[1] საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წ. 11 ნოემბრის მესამოცე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 26-27.

დამოუკიდებლობის ნიადაგზე".[1]

ზოგჯერ ეჭვიც უჩნდებოდა, ბოლომდე დარწმუნებული არ იყო მთავრობის უნარსა და შესაძლებლობებში. როგორც ილია ბახტაძის ერთ გამოუქვეყნებელ მოგონებაში ვკითხულობთ, ნ. ნიკოლაძეს „ბევრი რამ არ მოსწონდა მენშევიკების და ხშირად ამბობდა, რომ მენშევიკები ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებენ, ქვეყანას ვერ გაუწევენ მესაჭეობას და ადრე იქნება თუ გვიან, თუ ესენი ახლო არ დაუკავშირდებიან კაპიტალისტურ ქვეყნებს – დაიღუპებიან".[2]

საინტერესოა, რომ საკუთარი სახელმწიფოებრიობის პირობებში ნიკო ნიკოლაძეს პოლიტიკური პარტიების ძველი ფორმით არსებობა ანაქრონიზმად მიაჩნდა და მხარს უჭერდა მათ განახლება-გადახალისებას. „დღევანდელი ჩვენ ცხოვრების სინამდვილეს არაფერნაირად არ შეეფერება ჩვენი პარტიულად დანაწილება... ყველა პარტიას დაუდგა დრო, რომ ჩაფიქრდეს, სხვანაირად შეიმუშაოს პროგრამა და აწარმოოს თავის ძალები იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც ჩვენს გარშემოა. თორემ ის ძველი სახელები, ძველი განყოფილება, ძველი უკმაყოფილება ერთი-მეორის წინააღმდეგ მარტო ნგრევის და არა შენების იარაღია", – დასძენდა იგი.[3]

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა მისი საერთაშორისო აღიარების მიღწევა იყო. ამ მიზნით მთავრობამ კ. ჩხეიძის ხელმძღვანელობით 1918 წლის ნოემბერში სპეციალური დელეგაცია შეადგინა, რომელსაც ეს საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე უნდა დაესვა. დიპლომატიური მისიის ერთ-ერთი წევრი ნიკო ნიკოლაძეც იყო.

ევროპაში გამგზავრებამდე დელეგაციამ ფართე მოსამზადე-

---

[1] საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წ. 31 ოქტომბრის 57-ე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 35.

[2] საქართველოს რესპუბლიკის უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 2417, ანგ. 1, საქ. №251, ფურც. 26.

[3] საქართველოს დამფუძნებელი კრება, 57-ე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 35.

ბელი მუშაობა გასწია. საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, რომ ნ. ნიკოლაძემ ამ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო.[1]

სავარაუდო იყო, რომ დელეგაციას უცხოეთში ხანგრძლივი დროით მოუწევდა დარჩენა, ამიტომ ნ. ნიკოლაძემ პარლამენტის დეპუტატობაზე უარი თქვა[2] და მისი შემადგენლობიდან გამოვიდა.

პარიზს მიმავალი ქართული დელეგაცია ჯერ ბათუმში ჩავიდა, სადაც ქალაქის ეროვნული საბჭოსა და სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ინიციატივით მოეწყო შეხვედრა ინგლისის წარმომადგენლობასთან. ამ შეხვედრაზე ნიკო ნიკოლაძე სიტყვით გამოვიდა. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე კ. ჩხეიძემ, მამედ-ბეგ აბაშიძემ, „სამუსლიმანო საქართველოს" რედაქტორმა თასიმ-ბეგ ხიმშიაშვილმა და სხვ., ინგლის ელთა მხრიდან პოლკოვნიკმა ლეჯესინმა და ბელეემა. ინგლისელებმა საქართველოს დელეგაციას თავის კანონიერ ეროვნულ მოთხოვნებში დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერა აღუთქვეს.[3] მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩვენი დელეგაცია სრული შემადგენლობით კონსტანტინოპოლს ვერ გასცდა. პარიზის ვიზა და კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ კ. ჩხეიძემ და ი. წერეთელმა მიიღეს. სხვები, მათ შორის ნ. ნიკოლაძეც, იძულებული გახდნენ საქართველოში დაბრუნებულიყვნენ.[4]

პოლიტიკური მოღვაწეობის პარალელურად, ნ. ნიკოლაძე არ ივიწყებდა პრაქტიკულ საქმიანობასაც. მისი ზრუნვის საგანი იყო ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის აღორძინება, ქართული მარგანეცის მსოფლიო ბაზარზე გატანა, რაც საქართველოს დაცემულ ეკონომიკას გამოაცოცხლებდა, ფეხზე დააყენებდა. ნ. ნიკოლაძე დაინტერესებული იყო ნავთობსადენის გაყვანით ქ. გროზნოდან ფოთამდე, შეუდგენია კიდეცაც გეგმა სპეციფიკაციებით: „ნავთობსადენი გროზნი _ შავი ზღვის ნაპირი" და სხვ.

1919 წლის აგვისტოში თბილისში საქართველოს რესპუბლიკის

---

[1] ა. მენთეშაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, „მაცნე", ისტორიის... სერია, 1992, №2, გვ. 160-177.

[2] სცსსა, ფ. 1836, ანაწ. 1, საქ. №44, ფურც. 237.

[3] საქართველოს სახაო დელეგაცია ბათუმში, „საქართველო", 1919, 18 იანვარი.

[4] საქართველოს დელეგაცია, „საქართველო", 1919, 3 აპრილი.

მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესი უნდა გამართულიყო. მისი მოწვევის ინიციატივა მევენახეთა კოოპერატიულ საზოგადოება ,,კახეთს" ეკუთვნოდა. კონგრესის მიზანი სამამულო მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში შექმნილი ვითარების გაანალიზება და პერსპექტივების განსაზღვრა იყო. კონგრესი მცირე ხნით გადაიდო და გვიან შემოდგომაზე – ნოემბერში გაიმართა. ნ. ნიკოლაძემ დელეგატის სტატუსით მონაწილეობა მიიღო მის მუშაობაში და ორი მოხსენებაც გააკეთა: ერთი მევენახეობის პრობლემებზე და მეორე დარგის საზოგადო კითხვებთან დაკავშირებით.

კონგრესმა საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობის დროებითი საბჭო აირჩია შვიდი წევრის შემადგენლობით. საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნ. ნიკოლაძე.[1] აქვე დავძენთ, რომ ქართული ვაზი და ღვინო ყოველთვის იყო ამაგდარი მამულიშვილის ყურადღების ცენტრში. ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების საკითხებს მან იმავე წელს საგანგებო სტატიაც მიუძღვნა, რომელშიც ქართველ მეღვინეებს მსხვილი სარდაფების მოწყობას ურჩევდა ღვინის ევროპულ ყაიდაზე დასამზადებლად და საამისოდ ამხანაგობების შექმნას სთავაზობდა. წერილი ჯერ სპეციალიზებულ ჟურნალში გამოქვეყნდა, ხოლო შემდეგ ერთ-ერთმა ქართულმა გაზეთმაც გადაბეჭდა.[2] აღსანიშნავია, ისიც, რომ საფრანგეთში ყოფნისას, 1923 წელს ნ. ნიკოლაძე დაესწრო ქ. ბორდოში გამართულ მეღვინეთა საერთაშორისო კონგრესს.[3]

ნ. ნიკოლაძე დიდად იყო დაინტერესებული თბილისის მომავლით, მისი აღმშენებლობითა და განვითარებით. დედაქალაქი მისი მუდმივი ზრუნვის ობიექტს წარმოადგენდა. მას, როგორც ქალაქის სათათბიროს ხმოსანს და ამავე დროს ,,საქალაქო საქმისა და ფინანსების მცოდნე პირს", ხშირად იწვევდნენ თბილისის გამგეობის თათბირებზე თუ სხვა სხდომებზე. ერთ-ერთ ამგვარ თათბირზე, რომელიც თბილისის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების

[1] მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესის დადგენილებანი, ,,პიტალო კლდე", 1919 წ., 22 დეკემბერი.

[2] ნ. ნიკოლაძე, ჩვენი მეღვინეობის ნაკლი და მომავალი, ,,მევენახეობა და მეღვინეობა", 1919, №1; ,,პიტალო კლდე", 1919 წ., 1 დეკემბერი.

[3] ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი, ნაწ. II, შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა თ. მაჭავარიანმა, თბ. 1964, გვ. 6.

საკითხს მიეძღვნა, ნ. ნიკოლაძე ქალაქის მესვეურთა ყურადღებას რამდენიმე პრობლემას მიაქცევდა, სახელდობრ: ბინათმშენებლობას, ქალაქის ელექტროენერგიით უზურნველყოფას, აბანოებით სარგებლობას და სხვ. მისი აზრით, თბილისის ელექტროენერგიით მომარაგებისათვის აუცილებელი იყო მდინარეების — მტკვრისა და არაგვის შესაძლებლობათა გამოყენება, რაც, ერთის მხრივ, ელექტრონის ხარჯს გააიაფებდა, ხოლო, მეორე, მხრივ, წარმოების აღორძინების პირობადაც იქცეოდა. პრაქტიკოსი მოღვაწე ყურადღებას ამახვილებდა თბილისის აბანოებზე, რომელთა კეთილმოწყობა და გონიერი ექსპლუატაცია მნიშვნელოვნად გაზრდიდა ქალაქის შემოსავლებს. ნ. ნიკოლაძეს აუცილებლად მიაჩნდა აგრეთვე ქალაქის საბიუჯეტო უფლებების გაფართოება.[1]

1920 წლის აპრილში ნიკო ნიკოლაძე უცხოეთში გაემგზავრა. იგი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური მისიის წევრი, რომელსაც ევროპის ქვეყნებში ახლად ფეხადგმული ქართული სახელმწიფოსათვის სესხის გამოძებნა ევალებოდა. მისიას საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კ. კანდელაკი ხელმძღვანელობდა. ნ. ნიკოლაძეს მთავრობის თავმჯდომარისგან ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხებში რესპუბლიკის სახელით მოქმედების სრული უფლება ჰქონდა მინიჭებული.

საყურადღებოა იმის აღნიშვნაც, რომ ნ. ნიკოლაძეს სხვა დავალებაც ჰქონდა. კერძოდ, მას, როგორც წმინდა ნინოს სჯოგადოების გამგეობის წევრს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდესაგან მიცემული ჰქონდა რწმუნება, გაემართა საქმიანი შეხვედრები ქართული ეკლესიის საჭიროებათა გამოცერის სულიერი წინამძღოლის მიერ ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ მოწმობაში ვკითხულობთ: ,,ხელის მოწერითა ჩემითა და საპატრიარქო ბეჭდის დასმით, ვაძლევ ამას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებისა და წმ. ნინოს, ქართველთა განმანათლებლის სახელობის სჯოგადოების გამგეობის წევრს ნიკოლოზ იაკობის-ძე ნიკოლაძეს მას შინა, რომ მას ჩემგან მინიჭებული აქვს უფლება საეკლესიო საქმეების მოწყობის შესახებ

[1] ,,ქალაქი და ერობა", 1920, №5, გვ. 62.

იქონიოს მოლაპარაკება ყველგან, კერძო პირებთან, გინა დაწესებულებებთან, სადაც კი იგი, ნ. ნიკოლაძე, საჭიროდ დაინახავს".[1]

ეკონომიკური მისიის საქმიანობა ევროპის ქვეყნებში ხანგრძლივი გამოდგა. ამასთან, ნ. ნიკოლაძეს ჭიათურის მარგანეცის ექსპორტის მოგვარებაზე ზრუნვაც დაეკისრა. საზღვარგარეთ მყოფი ქართველი მოღვაწე უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მუშობას დიდი ხნით მოსწყდა. სრულად გრძნობდა რა პასუხისმგებლობას, 1920 წლის ოქტომბერში ნ. ნიკოლაძემ საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს ლონდონიდან წერილი გამოუგზავნა და დეპუტატობისაგან განთავისუფლება ითხოვა. „უმდაბლესად გთხოვთ, – იწერებოდა იგი, – ჩემ მაგიერ მოახსენოთ დამფუძნებელ კრებას, რომ იძულებული გახლავარ ხელი ავიღო მის წევრობაზე იმ მიზეზით, რომ ჭიათურის შავი ქვის გამზიდ საზოგადოების დელეგაციამ დამავალა ყური ვუგდო მის საზღვარგარეთულ მუშაობას და ამ მძიმე მოვალეობის ასრულება ნამეტნად მაშორებს საკანონმდებლო თანამდებობის ღირსეულად ასრულებას.

ვეთხოვები რა კრებას, რომლის წევრობა ჩემთვის უაღრეს პატივს და სიამაყეს შეადგენდა, სულით და გულით ვუსურვებ სრულ წარმატებას და ბედნიერ ნაყოფიერებას მის მოღვაწეობას, ძვირფასი და საყვარელი ჩვენი მამულის საკეთილდღეოთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, უღრმესად პატივცემულო ბატონო თავმჯდომარე ჩემს გულწრფელ ერთგულებაში".[2]

დამფუძნებელმა კრებამ ნ. ნიკოლაძის წერილი 1920 წლის 9 ნოემბრის სხდომაზე განიხილა და დააკმაყოფილა დეპუტატის თხოვნა. ნ. ნიკოლაძის ადგილი კრებაში დაიჭირა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიიდან შემდეგმა კანდიდატმა შალვა ამირეჯიბმა.[3]

1921 წლის იანვარში თბილისში რამდენიმე არასოციალისტური პარტია, – კერძოდ, – უპარტიოთა კავშირი, ეროვნულ-დემოკრა-

---

[1] ლ. ზურაბიშვილი, ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 125 წლის და გარდაცვალებიდან 40 წლისთავზე, „კავკასიონი", XIII, გვ. 79.

[2] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანწ. №40-499; აგრეთვე, „საქართველო", 1920 წ., 6 ნოემბერი.

[3] „საქართველო", 1920 წ., 11 ნოემბერი.

ტიული, ეროვნული და რადიკალ-დემოკრატიული პარტიები ერთ ორგანიზაციად გაერთიანდნენ. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული (გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული) პარტია. ნიკო ნიკოლაძე დაუსწრებლად პარტიის მთავარი კომიტეტის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს.[1]

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა იარაღის ძალით დაამხო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. საქართველოში საბჭოთა დიქტატურა დამყარდა. დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები კანონგარეშე იქნა გამოცხადებული. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა და დამფუძნებელი კრების წევრთა ერთი ნაწილი ემიგრაციაში გაიხიზნა. მათ საფრანგეთში მოიყარეს თავი. ევროპაში მყოფი ნ. ნიკოლაძეც დროებით გახიზნულებს შეუერთდა.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ნ. ნიკოლაძე ბევრჯერ ყოფილა უცხოეთში, ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას და არც ნაცნობ-მეგობართა ვიწრო წრე ჰყოლია საზღვარგარეთ, მაგრამ ემიგრანტობაზე არასოდეს უფიქრია. მას მუდამ ახსოვდა თავისი უფროსი მეგობრისა და მასწავლებლის ნ. ჩერნიშევსკის მაგალითი. როდესაც ცნობილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატ მოღვაწეს პეტერბურგში დაპატიმრების საფრთხე დაემუქრა, ერთგულმა პირებმა მას საზღვარგარეთ წასვლა ურჩიეს და ამ საქმეში დახმარებაც აღუთქვეს, მაგრამ ნ. ჩერნიშევსკიმ არ მიიღო ეს წინადადება. სწორედ მაშინ უთქვამს მას ნ. ნიკოლაძისთვის, რომ „ემიგრანტად გახდომით ის მოსწყდება რუსეთს, მის საზოგადოებრივ მაჯისცემას და უკან ჩამორჩენილი გადაიქცეოდა უსაქმო ყბედათ, ბუზღუნათ". „ამ სიტყვებმა თვითონ მე გადამარჩინეს შემდეგში ემიგრანტობისაგან", — იგონებდა მოგვიანებით ნ. ნიკოლაძე.[2]

საქართველოს რესპუბლიკას თავსდატეხილი უბედურება უცხოეთშიც სწრაფად გახმაურდა. ადვილი წარმოსადგენია სამშობლოსაგან შორს მყოფი მამულიშვილის სულიერი მდგომარეობა, როცა ყოველივე ეს მის ყურამდეც მიაღწევდა. შეუძლებელია

[1] „საქართველო 1921 წ., 29 იანვარი.
[2] ნ. ნიკოლაძე, მოგონებები, თბ. 1984, გვ. 155.

აუღელვებლად წაიკითხო პარიზიდან შვილისადმი გამოგზავნილი ნიკო ნიკოლაძის წერილი, რომელიც 1921 წლის 27 თებერვლითაა დათარიღებული. „საყვარელო შვილო გიორგი, გწერ, მაგრამ არ ვიცი სად გამოგიგზავნო ეს წერილი, მოგივა თუ არა? ვერ წარმოიდგენთ, აქ რა ცეცხლში ვარ და ვართ ყველა ქართველები. ეს ერთი კვირეა, მას აქეთ, – წერს ნ. ნიკოლაძე, – რაც გავიგეთ თავს დასხმა საქართველოზე და თფილისის საფრთხე. სადა ხარ, რა დაგემართათ, ვგიჟდები ამ კითხვებით. გუშინ საფრანგეთის მთავრობას მის სტამბოლელ წარმომადგენლიდან რადიო მოუვიდა – საქართველოს მთავრობამ თფილისი დაცალა და ქუთაისს გადაიხიზნაო. ეს ამბავი გაზეთებშიც დაიბეჭდა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რა გუნებაზე ვიქნებით აქ ყველანი... ყოვლად უძლური ვარ რითიმე გიშველოთ აქედამ“.[1]

ამავე წერილიდან ირკვევა, რომ შავი ქვის ექსპორტის საქმეც სხვადასხვა მიზეზთა გამო იმხანად აიწეწა, რაც ნ. ნიკოლაძის ავტორიტეტს უცხოეთის საქმიან წრეებში ჩრდილს აყენებდა. ამის გამო იგი აღნიშნავდა: „...მწვავე დარდს თქვენი ამბის უცოდინარობისა ზედ ერთვის ნაღველი ჩემი საკუთარი სახელის მნიშვნელობის ნელ-ნელა დნობისა და კარგვისა. ესეც კია მართალი, რა ოხრათ მინდა სახელი ან არსებობა, თუ მამული არ გამაჩნდება და თქვენი არა მეცოდინება რა?“ მაგრამ სასო არ წარპკვეთია, კვლავ ოპტიმისტად დარჩა. „არ ვკარგავ იმედს, – ნათქვამია წერილის დასასრულს, – და დარწმუნებული ვარ, კიდევ მოვაბერხებ რამეს (არ ვიცი კი რას), რომ ცოტათი მაინც გავუადვილო ეს განწირული ცხოვრება ჩვენს ხალხს და ქვეყანას“.[2]

სხვა წერილში წერდა: „სული მიდგას და ჯანმრთელად ვარ. ვმუშაობ თავაუღებლად, რათა თავდავიწყებაში ჩავახშო უნუგეშო დარდი, რომელიც ძილს მიკრთობს“. ან კიდევ: „მე კარგად ვარ ფიზიკურად, მკლავს ოღონდ თქვენი დარდი და მამულის ეშხი. მაგრამ ვგრძნობ და სულს მით ვიჭერ კბილებით, რომ სასარგებლოა საქართველოსათვის, განურჩევლად მიმართულებისა და რწმენისა

[1] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანაწ. №62-15.

[2] იქვე.

ჩემი აქაური მეცადინეობა და შრომა, რომელიც მამხნევებს და სულს მიდგამს... მოვესწრებით ყველა წარსული სიმწარის დავიწყებას, უკეთესი დროების დადგომას ჩვენს ეკონომიკაში, და მაშასადამე, მდგომარეობაშიც. ცოცხალი ვარ ამ იმედებით".[1]

ევროპაში მიმავალმა ნიკო ნიკოლაძემ 1920 წლის 13 აპრილს თავის ჯიხაიშელ მებაღეს, ისიდორე კვიცარიძეს წერილობით დაუბარა: „მთავრობა დღეს მაგზავნის საზღვარგარეთ... მივდივარ შენი იმედით, რომ ჩემს სახლ-კარს და ეზოს მოუვლი ისე, როგორც შენს ჭაღარას ეკადრება და მოუხდება..." მუდამ ერთგული მებაღე ამჯერად უძლური აღმოჩნდა შეესრულებინა ჩვეულებრივი დავალება, რადგან დრო დადგა არაჩვეულებრივი. ახლად დამკვიდრებული საბჭოთა ხელისუფლება და მისი დამჭაში წითელი არმია არ ცნობდნენ კერძო საკუთრებას. ყველა შეძლებული და მესაკუთრე მათ რევოლუციის მტრად შერაცხეს და აღარ ინდობდნენ. 1921 წლის აპრილის დამდეგს მიღებულ იქნა დეკრეტი მიწის შესახებ, რომლითაც მთელი მიწები მშრომელთა საკუთრებად გამოცხადდა. დაიწყო მემამულეთა, ეკლესია-მონასტრებისა და სხვა მეტ-ნაკლებად მსხვილ მესაკუთრეთა მიწების კონფისკაცია, რასაც თან ახლდა მათი კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, ნაგებობათა თუ სხვა ქონების ჩამორთმევაც. სხვა მრავალთა შორის დაარბიეს ნიკო ნიკოლაძის ნალოლიაევები სახლ-კარი დიდ ჯიხაიშში. ამასთან დაკავშირებით გიორგი ნიკოლაძე მამას აცნობებდა: „... წითელი არმიის შემოსვლის დროს ვიღაცა ავაზაკებს (ვინ იძახის წითელი არმიიდან გამოპარული სალდათები იყოვო, ვინ კი ადგილობრივი მცხოვრებლებიო) გაუცარცვავს ჩვენი სახლი: წაიღეს ყველა ქვეშაგები, ტანსაცმელები და საცვლები, როგორც ჩასაცმელი ისე სუფრა-სალფეთები. ეს ყველაფერი დაიკარგა. რაც დარჩა ჯიხაიშის რევკომმა ასწერა ყველაფერი დაწვრილებით... რაც სჭიროდა: საინები, სკამები, შკაფები-რამდენიმე გაიტანა თავისთვის სახმარებლად, დანარჩენი კი დაბეჭდა... რევკომმა ცხენიც წაიყვანა უნაგირით, ტაჭკაც და „კიბიტკაც". მე წავედი ჯიხაიშში, მაგრამ არაფერი არ მოგვცეს: ეს ეხლა ჩვენიაო".[1]

[1] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანაწ. №62-20, №62-46.

ყოველივე ამას ისიც დაერთო, რომ ნიკოლაძეთა სახლში წითელარმიელები ჩაასახლეს, რომელთა დამშეულ ცხენებს უზარმაზარი ეზო ძლივსღა ჰყოფნიდა საბალახოდ, თვით ჯარისკაცებმა კი მუსრი გაავლეს საადრეო ხილს. შექმნილი მდგომარეობით შეწუხებულმა ნ. ნიკოლაძის შვილებმა, – გიორგი, რუსუდან და თამარ ნიკოლაძეებმა განცხადებით მიმართეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა კომისარს. განცხადებაში ნათქვამია:

„ამა წლის მარტში, სოფ. დიდ ჯიხაიშში, სრულიად გაცარცული იყო ჩვენი სახლი; რისი წაღებაც კი შეიძლებოდა, ქვეშაგებიდან დაწყებული უკანასკნელ ფარდამდის; ისე რომ, მთელს სახლში ერთი ნაკუწი ქსოვილი აღარ მოიპოვება. ვერც ერთმა ჩვენგანმა ერთი დღითაც ვერ მივატოვეთ ჩვენი საპასუხისმგებლო სახელმწიფო სამსახური ტფილისში და ვერ მივხედეთ ჩვენს ადგილმამულს. ადგილობრივმა რევკომმა კი, არამც არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია ამ ცარცვას, არამედ... პირიქით, თვითონ წაგვართვეს ყველა ის, რაც კი ცარცვას გადარჩა; თვით დაცარიელებული სახლიც კი დაგვიბეჭდეს და შიგ არ გვიშვებენ. დიდი ჯიხაიშის რევკომი აცხადებს, რომ ეს უკანონობა მოხდენილია მის მიერ საზოგადოებრივი საჭიროების გამო. ეს ჩამორთმევა მით უფრო უსამართლოა, – დასძენდნენ განცხადების ავტორები, – რომ ჩვენ უთმისოდაც სასტიკად გაცარცული ვიყავით, რევკომმა კი ისეთი ქონება ჩამოგვართვა, ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელი იქნება ჩვენი ჯიხაიშში ცხოვრება და მუშაობა. თვით სახლი და მიწა კიდეც რომ დაგვიბრუნონ, არ დაუტოვებიათ, მაგალითად, ჩვენთვის არც ერთი ლოგინი, სკამი და ტახტი, არც ერთი კოვზი, ქვაბი ან საინი; წაგვართვეს ერთად-ერთი ჩვენი ცხენი თავისი ტაჩკით, უნაგირით და ყოველივე მოწყობილებით; უამისოდ კი, რადგან არც ხარები, არც ურემი ჩვენ არა გვყავს, მიწის დამუშავება ყოვლად შეუძლებელი ხდება. ამნაირად, ყველა ამისი ჩამორთმევა და ჩვენი ჯიხაიშიდან გამოგდება ერთი და იგივეა, ვინაიდან დღევანდელ პირობებში არაფერი ამისი შეძენა, ფული კიდეც რომ გვქონდეს, აღარ შეიძლება რევკომის ამგვარი მოქმედება, –

[1] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანაწ. №62-146.

აღნიშნულია განცხადების ბოლოს, – უკმაყოფილებას იწვევს მთელს სოფელში, რაშიაც ადვილად შეუძლია დარწმუნდეს ყოველი თქვენგან იქ გაგზავნილი წარმომადგენელი... დაბეჯითებით გთხოვთ: დაგვიფაროთ დიდი ჯიხაიშის რევკომის ჩვენს მიმართ უკანონო და ყოვლად უსამართლო მოქმედებისაგან და მიიღოთ სათანადო ზომები".[1]

ნიკო ნიკოლაძის ოჯახის გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა საქართველოს დამფუძნებელი კრების ყოფილმა წევრმა ნიკო ელიავამ, რომელმაც იშუამდგომლა საკუთარი ძმის, იმხანად საბჭოთა საქართველოს სამხედრო კომისრის შალვა ელიავას წინაშე. ამ უკანასკნელმა განკარგულება გასცა დაეცალათ ნ. ნიკოლაძის ბინა იქ მყოფი წითელარმიელებისაგან. თუმცა საკითხი არც ისე მარტივი გადასაწყვეტი აღმოჩნდა და რამდენიმე თვეს გაჭიანურდა, რადგან ბიუროკრატიულ მექანიზმს უკვე მოესწრო იერარქიულ სისტემად ჩამოყალიბება.

ნათქვამის საილუსტრაციოდ ნ. ნიკოლაძის პირად არქივში რიგი დოკუმენტებია შემორჩენილი: 1921 წლის 13 ივნისს კავკასიის არმიის მეთაური მეცხრე დივიზიის უფროსს უბრძანებდა: „немедленно освободить от постоев и вселений войсковых частей и отдельных войнских чинов в имение Николадзе. Об исполнеинии донести".[2] როცა ამ ბრძანებამ ვერ გაჭრა, არმიის მეთაურმა იგივე ახლა (1921 წ. 17 დეკემბერს) პირველი ბრიგადის მეთაურს დაავალა. თავის მხრივ, მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე დიდი ჯიხაიშის რევკომს ავალდებულებდა (პირველად ივნისში, მეორედ დეკემბერში): „ზომები მიიღეთ, რომ თანახმად ჩვენი განკარგულებისა... და თანახმად კავკასიის არმიის კომანდირის განკარგულებისა, ნიკოლაძის მამული თავისუფალი იყოს ყოველივე ჩასახლებისაგან".[3]

სამხედრო ნაწილი როგორც იქნა გაიყვანეს, მაგრამ ჯარისკაცებმა თვითნებურად გათიბეს ნიკოლაძეთა 5 ქცევა სათიბი და

[1] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანაწ. №40-484.

[2] იქვე, ანაწ. №40-488.

[3] იქვე, ანაწ. №40-490.

თან წაიღეს 100 ფუთზე მეტი თივა.

ნ. ნიკოლაძის შვილების ზემოთ მოყვანილი განცხადების საპასუხოდ შინაგან საქმეთა კომისარიც გაისარჯა. მან ქუთაისის სამაზრო რევკომს საგანგებოდ მიუთითა: „წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ გასცეთ განკარგულება, რათა დიდი ჯიხაიშის რევკომმა დაუბრუნოს ყველა ის ინვენტარი, ცხენი და ავეჯეულობა, რომელიც მან მათ სრულიად უკანონოთ ჩამოართვა“. რესპუბლიკის სახალხო კომისრის განკარგულებაში არც ის მდგომარეობაა დაფარული, რომ „ადგილობრივი რევკომები თავის მოქმედებაში ხშირად სრულიად არ ხელმძღვანელობენ კანონით და ემორჩილებიან ზევით მდგომ ინსტანციებს. ეს მე ყოველად დაუშვებლად მიმაჩნია... სასტიკი თვალყური ადევნეთ, რომ როგორც მთავრობის და ჩემი განკარგულებანი, ისე თქვენი მოწერილობანიც დაუყოვნებლივ სრულდებოდეს. ურჩობისათვის დამნაშავენი სამსახურიდან გადააყენეთ და მიეცით პასუხისგებაში“.[1] საქმიდან არა ჩანს, დაისაჯა ვინმე თუ არა საკითხის გაჭიანურებისათვის. ფაქტი ის არის, რომ ნიკოლაძეთა მამულის ბედი კარგა ხანს გაურკვეველი დარჩა. ამ საქმეში საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა სიცხადე მხოლოდ 1923 წლის 9 იანვარს შეიტანა, როდესაც დაადგინა: „მოქალაქე ნ. ნიკოლაძის მამული შენობით და მთელი ინვენტარით გაეროვნდეს საზოგადოებრივი მიზნებისათვის სასარგებლოთ იმ აუცილებელი პირობით, რომ როგორც მამული და შენობები, აგრეთვე ინვენტარი არ უნდა იქნეს დანაწილებულ-დაყოფილი. მთელი მამულის გამგეობა გადაცემულ იქნეს ქუთაისის სამაზრო აღმასკომის განკარგულებაში“.[2]

გიორგი ნიკოლაძემ მოახერხა მხოლოდ მოძრავი ქონებისა და საოჯახო ბიბლიოთეკის გარკვეული ნაწილის მიღება. დანარჩენი წიგნების დაბრუნებისათვის კი სამშობლოში ჩამოსულ ნიკო ნიკოლაძეს საგანგებო თხოვნის დაწერა მოუხდა: „გთხოვთ კეთილინებოთ დამიბრუნოთ ჩემს ყოფილ მამულში, სოფ. დიდ-ჯიხაიშში, დატოვებული წიგნები, რომლებიც იქ უსარგებლოთ ხასდებიან.

[1] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანაწ. №40-486.

[2] იქვე, ანაწ., №40-492.

უმეტესი ნაწილი მათი ჩემ მუშაობისათვის მეჭირება", – მიმართავდა იგი საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახალხო კომისარს.[1]

ქართველი ერი არ შერიგებია თავსმოხვეულ საოკუპაციო რეჟიმს. დაიწყო ფართო საპროტესტო მოძრაობა. ემიგრირებული მთავრობა და პოლიტიკურ ძალთა წარმომადგენლები უცხოეთიდან ცდილობდნენ სამშობლოში დარჩენილ თავისუფლებისათვის მებრძოლთა დახმარებას. ამ საქმეში ჩაერთო ნიკო ნიკოლაძეც.

1922 წლის 21 თებერვლიდან 6 მარტამდე პარიზში სზღვარგარეთ გახიზნულ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების ინტერპარტიული კონფერენცია გაიმართა. მისი მიზანი ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ ძალთა შეკავშირება და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ერთიანი ფრონტის შექმნა იყო. კონფერენციამ შეთანხმება და სხვა დოკუმენტები მიიღო.[2]

საქართველოდან სათანადო მანდატით აღჭურვილი ნიკო ნიკოლაძე აქტიურად მონაწილეობდა პარიზის შეხვედრაში, როგორც კონფერენციის თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე). მან გრ. ვეშაპელთან, რ. გაბაშვილთან, ე. თაყაიშვილსა და ლ. ჯაფარიძესთან ერთად თავისი პარტიის სახელით ხელი მოაწერა ინტერპარტიულ შეთანხმებას.[3]

1922 წლის ზაფხულში კინაღამ უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. პარიზში, ბოტანიკური ბაღისაკენ ფეხით მიმავალ მოხუცს უეცრად მოტოციკლეტი დაეჯახა, რომელსაც მთვრალი ახალგაზრდა მართავდა.[4] ბიძგი იმდენად მძლავრი იყო, რომ ნ. ნიკოლაძეს დაცემისას თავი და მარჯვენა ყური დაუზიანდა, ხოლო მის უკან მდგომი ქვეითი ადგილზე გარდაიცვალა. დაზარალებული ნ. ნიკოლაძე საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც ათი დღე დაჰყო.

---

[1] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანაწ., №68-30.

[2] ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996, გვ. 102-103.

[3] სცსსა, პარვარდის უნივერსიტეტის ფონდის მიკროფირები, საქ. №1048, ფურც. 113; ასევე, გ. ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, თბ. 1996, გვ. 90.

[4] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანაწ. №62-38.

მცირე ხანს ბინაზეც იმკურნალა და ფეხზე დადგომა შეძლო. დიდი მამულიშვილის განსაცდელმა შეაშფოთა მისი ახლობლები და მეგობრები, რომლებმაც თანაგრძნობის ბარათები გაუგზავნეს და გულწრფელად მიულოცეს, რომ ხიფათს გადაურჩა.

ნიკო ნიკოლაძე უცხოეთში პოლიტიკური საქმიანობის გარდა, დაკავებული იყო მოგონებების წერით, ეწეოდა პრაქტიკულ მუშაობას ეკონომიკურ სფეროში. ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოების („ჩემო") მინდობილობით იგი მიმოდიოდა ლონდონში, როტერდამში, პარიზსა და ჰააგაში, აგვარებდა ამ ძვირფასი წიაღისეულის საზღვარგარეთ ექსპლუატაციის საკითხებს. სხვათა შორის, ცნობილი ამერიკელი მრეწველი ჰარიმანი ამ მიზნით საქართველოში ნ. ნიკოლაძის რჩევით ჩამოვიდა. სამშობლოზე გულშემატკივარი ერისკაცი არც სხვა საკითხებს ტოვებდა უყურადღებოდ, ადრინდელი ოცნების – გროზნოდან შავ ზღვამდე ნავთობსადენის მშენებლობისათვის ინვესტორებს დაეძებდა. თითქოს კიდევაც იპოვა; ნავთობის ცნობილი კომპანიის „შელლის" დირექტორი პოლკოვნიკი ბოილი დაინტერესდა ამ პროექტით და მისი შესწავლის მიზნით კავკასიაში გამოემგზავრა. ნ. ნიკოლაძემ უცხოელს თავის დისწულთან, ცნობილ ქართველ მშენებელ ბესარიონ ჭიჭინაძესთან წერილი გამოატანა. „შენ იცი, როგორ გონიერად და რიგიანად დაიჭერ მასთან (ბოილთან, – ო. ჯ.) საქმეს და ისე იმოქმედებ რომ ჩემი ამდენი წლის მეცადინეობა ამ საქმეზე და ჩემი ინიციატივა არ დამეკარგოს, – წერდა ბიძა დისშვილს, – იცოდე, ეს საქმე მრავალმხროვანი და მეტად საჭიროა ჩვენი ქვეყნისათვის. სულ ერთია რა რეჟიმის ქვეშ ის იმყოფებოდეს: ყველას მოუხდება, ყველას გააკეთებს, ყველა მისი მფარველი გახდება".[1] იმავე ბოილის ხელით საკუთარი შვილის, გ. ნიკოლაძისადმი გამოგზავნილ წერილში კი მიუთითებდა: „ჩვენი ქვეყანა მოინათლება და აცვავდება წარმოუდგენლათ ამ გეგმის ასრულებით. თქვენ იცით... როგორ ასარგებლებთ ჩვენს ქვეყანას იმ მილის გამართვით".[1] სამწუხაროდ, ამ საქმიდან არა გამოვიდა რა.

[1] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანწ., №62-16. ასევე „თბილისი", 1990 წ., 22 თებერვალი, უ. ცქიტინიძის პუბლიკაცია.

ნიკო ნიკოლაძეს დიდად სასარგებლოდ ესახებოდა ქართული ხე-ტყის გონივრული ექსპლუატაციაც. ზემოხსენებულ წერილებში შვილსა და დისშვილს ჩვენი ტყეების შესახებ რაც შეიძლება მეტი სანდო მასალის შეგროვებასა და მისთვის გაგზავნას სთხოვდა. „ესლა აქ დგება დიდი ტრესტი ბანკებისა და ერთი ამერიკელი (კანადელი) ბანკის მოღვაწე მპატიჟებს თანამშრომლად. ის აპირებს ჩრდილო რუსეთის ტყეების არენდას. მე კი მინდა და მირჩევნია ჩვენი ტყეებიც დავამუშავებინო. თუ მომიხერხებთ სრული და დანამდვილებით ცნობების მოწოდებას, – იწერებოდა ნ. ნიკოლაძე ლონდონიდან, – ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ ადვილად შევიძლებ დიდი საქმის გამართვას ჩვენში და დიდძალი ლესნიჩების, ტექნიკოსების და რაჭველებისათვის ბარაქიანი მუშაობის შოვნას.

განსაკუთრებით საჭიროა ცნობები, თუ რა ღირს გზების დამუშავება, ჩამოზიდვა ფოთამდე, დახერხვა, ან თუ რა ფასებში საღდება ის ჩვენში და ბაქოს... მინდა ფულები ჩვენს ქვეყანას მოვახმარო",[2] – დასძენდა ერისკაცი.

საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლება ნიკო ნიკოლაძეს სამშობლოში დაბრუნებას სთავაზობდა და ხელშეუხებლობის გარანტიას ჰპირდებოდა. როგორც ვთქვით, ემიგრანტობაზე არც უფიქრია, 81 წლის მოხუცი 1924 წლის მარტში საქართველოში დაბრუნდა. ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ნ. ნიკოლაძემ ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა შეიცვალა და ახლა მარქსისტულ პლატფორმაზე დადგა. მიუხედავად ამისა, თვით ჩამოსვლის ფაქტმა მრავალი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამას ჰქონდა გარკვეული საფუძველი: ნიკო ნიკოლაძის სახით ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი პიროვნება ჩამოშორდა, საბჭოთა მთავრობას კი ამით ემიგრაციასთან პროპაგანდისტული დაპირისპირების კარგი შესაძლებლობა მიეცა. ხმა გავრცელდა, რომ ევროპიდან დაბრუნებული ნ. ნიკოლაძის დასახვედრად ფოთში თვით სერგო ორჯონიკიძე ჩავიდა, მაგრამ ეს არ ყოფილა მართალი. ოფიციალურ პირთაგან ნიკო ნიკოლაძეს არავინ დახვედრია. მისი

---

[1] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანწ., №62-16; ასევე „თბილისი", 1990 წ., 22 თებერვალი.

2 იქვე.

დაბრუნების შესახებ არც პრესაში გამოქვეყნებულა რაიმე ინფორმაცია, მაგრამ ეს ამბავი მალე საყოველთაოდ გახდა ცნობილი.

შალვა ამირეჯიბის სიტყვით, ფარულად მომუშავეებს ნ. ნიკოლაძის ჩამოსვლა არ მოეწონათ. არც ფართო საზოგადოებრიობა შეხვედრია ამ ფაქტს აღტაცებით. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი: ბოლშევიკური რეპრესიების საპასუხოდ, იმხანად საქართველოში საბჭოთა რეჟიმის საწინააღმდეგო სულისკვეთება ბატონობდა. ჰაერში უკვე დენთის სუნი იდგა. ნიკო ნიკოლაძე კი არასოდეს ყოფილა უკიდურესი რადიკალიზმის მომხრე.

ცნობილი მოღვაწის ჯჩრის შეტყობას მოსალოდნელი გამოსვლის თაობაზე მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამასთან, ნ. ნიკოლაძეს უეჭველად ექნებოდა ახალი და ვრცელი ცნობები ევროპიდან საქართველოსადმი შესაძლო დახმარების შესახებაც. არსებობს მოსაზრება, რომ ნ. ნიკოლაძემ პარიზიდან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთა, – სპ. კედიასა და გრ. ვეშაპელის წერილები ჩამოიტანა. პირველი ეროვნულ-პოლიტიკურ ძალებს აჯანყებისაგან თავის შეკავებას ურჩევდა, მეორე კი გამოსვლის აუცილებლობაში არწმუნებდა.[1]

სხვა ცნობით, სპ. კედიას წერილი საქართველოში არა ნ. ნიკოლაძემ, არამედ ექიმმა წულუკიძემ ჩამოიტანა[2] (ეს უნდა იყოს ცნობილი უროლოგი, შემდგომში აკადემიკოსი ალექსანდრე პეტრეს ძე წულუკიძე, რომელიც 1922 წლიდან გერმანიასა და საფრანგეთში იმყოფებოდა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და იქიდან ნ. ნიკოლაძის შემდეგ, 1924 წლის მაისში დაბრუნდა).[3]

გადასცა თუ არა რაიმე წერილობითი დოკუმენტი ნიკო ნიკოლაძემ იატაკქვეშეთში მყოფ თანაპარტიელებს, ახლა ძნელი დასადგენია, სამაგიეროდ ცნობილია, რომ მას ნამდვილად ჰქონდა შეხვედრა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წარმომადგენლებთან. პირველად ნ. ნიკოლაძეს დამკომის თავმ-

---

[1] ა. მუჯირი, შორეული ზაფხულის ცხელი დღეები, „ლიტერატურნაია გრუზია", 1990, №3. გვ. 159.

[2] მ. ქავთარაძე, სპირიდონ კედია, „ჯვერის", პარიზი, 1979, №22, გვ. 10.

[3] „მუშა და გლეხი", 1924 წ., 20 მაისი.

ჯდომარე კ. ანდრონიკაშვილი, ხოლო შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი შ. ამირეჯიბი შეხვდა. ცხადია, ეს შეხვედრები კონსპირაციულად შედგა. შ. ამირეჯიბმა მისი და ნ. ნიკოლაძის ფარული შეხვედრის ირგვლივ საყურადღებო მოგონება შემოგვინახა.

„... ნიკოლაძე უკანასკნელად 1924 წელს ვნახე, – ვკითხულობთ მოგონებაში, – ეს იყო აგვისტოს აჯანყების წინ... ნიკოლაძის ნახვას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ჩვენთვისა და ალბათ თვით ნიკოლაძისათვის დიდად საჩოთირო და საბიფათო საქმე დამოუკიდებლობის კომიტეტმა კ. ანდრონიკაშვილსა და მე მოგვანდო. ნიკოლაძე ცალ-ცალკე უნდა გვენახა და პირველი ანდრონიკაშვილი წავიდა დანიშნულ ადგილზედ. როდესაც მე მივდიოდი, განსვენებულის შეხედულება ჩვენი ბრძოლის საკითხებზედ კ. ანდრონიკაშვილისაგან უკვე ვიცოდი და თამამად მივდიოდი. ვიცოდი რას მეტყოდა და რას ვუპასუხებდი... ვისხედით პირისპირ, – განაგრძობს შ. ამირეჯიბი, – ასე სხვანაირები, როგორც წლოვანებით, ისე სახელის ყალიბით, ერთი შერიგებული, მეორე შეთქმული, მაგრამ მაინც ერთი პარტიის ხალხი, რომელთაც ლაპარაკი გულდასმით შეეძლო. ნიკოლაძე ლაპარაკობდა მხურვალედ და ცეცხლიანად. ლაპარაკობდა ევროპაზედ, ინგლისის პოლიტიკაზეც, კერზონზედაც ილაპარაკა. სთქვა ცოტა რამ თავისთავზედაც და უფრო მეტი კი ბოლშევიკებზედ. თავისთავზედ სთქვა, რომ რაღაცა სამი წელიწადი კიდევ დამრჩა და მინდა ჩემს ხალხში მოვკვდეო. მისი ლეგენდარული ჯანსაღობა მეც გაგონილი მქონდა, – დასძენს შ. ამირეჯიბი, – და ვუთხარი, რომ საქართველოს მეორე დამოუკიდებლობასაც უნდა მოესწროთ მეთქი. აი, მაშინ მითხრა, რომ ეგ დღე მეც მწამს, მაგრამ ყველას ჩვენი ვალია ქართველ ხალხს ამ დღისათვის სიცოცხლე შევუნარჩუნოთ“.[1]

შ. ამირეჯიბის მოწმობით, „ბოლშევიზმის დღეგრძელობა მას არა სწამდა... ბოლშევიზმი უნდა დაიღუპოს, საქართველო აღსდგეს!

---

[1] შ. ამირეჯიბი, ნიკო ნიკოლაძე, „დამოუკიდებელი საქართველო“, 1928, აპრილი, №28; ასევე „თბილისი“, 1990 წ., 12. თებერვალი, გ. შარაძის პუბლიკაცია.

ამაში ჩვენსა და ნიკოლაძეს შორის დავა არ ყოფილა. ჩვენ გავიყარენით ისეთ საკითხებში, სადაც უპირატესობა ისტორიულად მუდამ მებრძოლი გულის მხარეზედ ყოფილა და არა მხცოვანი თავისა...“ აგვისტოს შემდეგ მე ის აღარ მინახავს, მაგრამ ალბათ ფიქრობდა, რომ ის იყო მართალი და არა ჩვენო, – ამთავრებს მოგონებას შ. ამირეჯიბი.[1]

1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდგომ, საფრანგეთში მყოფი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი გრ. ვეშაპელი საბჭოთა ხელისუფლებამ თავის მხარეზე გადაიბირა. იმავე წლის ნოემბრიდან მან პარიზში გაზეთ „ახალი საქართველოს“ გამოცემა დაიწყო, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას დაუპირისპირდა და ფაქტობრივად საბჭოეთის სამსახურში ჩადგა. გრ. ვეშაპელი რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ საქართველოში დაბრუნებული ნიკო ნიკოლაძეც იმავე პოზიციას იზიარებდა და ყოფილ თანაპარტიელს საკუთარ გაზეთში თანამშრომლობა შესთავაზა.

„გაზეთ „ახალი საქართველოს“ რედაქციის სახელით უმორჩილესად გთხოვთ, მოგვაწოდოთ „წერილები საქართველოდან“, რა თემაზედაც გსურდეთ, – წერდა გრ. ვეშაპელი ნ. ნიკოლაძეს და დასძენდა, – იმედია „ძველი საქართველოს“ უდიდესი წარმომადგენელი, რომლის პოლიტიკა ყოველთვის უაღრესად რეალისტური იყო, „ახალ საქართველოსაც“ გამოეხმაურება, ინტელიგენციათა თაობების მემკვიდრეობითი ტრადიციის შესაქმნელად“.[2] ნიკო ნიკოლაძემ ეს წერილი უპასუხოდ დატოვა. მისთვის მიუღებელი იყო გრ. ვეშაპელის არჩევანი.

თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე დიდ თერგდალეულს არასოდეს უკისრია ამა ქვეყნის ძლიერთა სამსახური. არც ახალი მთავრობის ერთგული გამხდარა იგი. უბადლო მამულიშვილი მხოლოდ სამშობლოსა და ერის სამსახურში იდგა მუდამ და არა ხელისუფლების. აი, მისი სიტყვებიც, მიმართული სამშობლოსადმი:

მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, მე ერთი წადილის მეტი

---

[1] შ. ამირეჯიბი, დასახ. სტატია.

[2] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფონდი, ანწ. №14-193.

არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი ავად თუ კარგად, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა".[1]

ოთხი წელი იცხოვრა ნიკო ნიკოლაძემ ბოლშევიკურ საქართველოში. საქმეშიც ჩვეული გულმოდგინებით ჩაება, თითქოს მმართველი წრეც უპატიოდ არ ეპყრობოდა, მის ნიჭს, ცოდნასა და გამოცდილებას ანგარიშს უწევდნენ. ფილიპე მახარაძეც საქვეყნოდ ირწმუნებოდა, – პირადად ვიცი, რომ ნ. ნიკოლაძე სოციალისტურ აღმშენებლობას დიდად აფასებდა, მის წარმატებას შეჰხაროდაო,[2] მაგრამ 85 წლის მოხუცი ისე აღესრულა 1928 წელს, საბჭოთა ხელისუფლებისათვის წარბი არ გაუხსნია.

ნიკო ნიკოლაძეს კომუნიზმის მომავლის არ სჯეროდა, ბრძენკაცი წუთისოფელს იმ რწმენით გამოეთხოვა, რომ „ბოლშევიზმი უნდა დაიღუპოს, საქართველო აღსდგეს!"

ასრულდა დიდი მამულიშვილის მოლოდინი: საქართველომ ამ საუკუნეში მეორედ მოიპოვა დამოუკიდებლობა. დღეს ჩვენი ქვეყანა მძიმედ, მაგრამ შეუვალი ნაბიჯით მიუყვება თავისუფლების ახალ აღმართს.

---

[1] ვ. ბიბილეიშვილი, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, გვ. 1.

[2] ფ. მახარაძე, ნ. ნიკოლაძის გარდაცვალების გამო, „კომუნისტი", 1928 წ., 3 აპრილი.

დ ა ნ ა რ თ ი

ნიკო ნიკოლაძის სიტყვები და გამოსვლები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ. 29 თებერვალს დაიწყო განხილვა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვისა, რომელიც შეეხებოდა ჭიათურის მომრიგებელ მოსამართლის მიერ ჭიათურის მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრის ხარატიშვილისათვის სასჯელის გადაწყვეტას. სოც-დემოკრატებმა მიიჩნიეს, რომ ეს იყო არა პიროვნულად ხარატიშვილის გასამართლება, არამედ გასამართლება ჭიათურის მუშათა საბჭოსი, როგორც რევოლუციური ორგანიზაციის, რაც, მათი აზრით, შეუფერებელი განაჩენი იყო. მსჯელობა 31 იანვარს, მომდევნო სხდომაზეც გაგრძელდა.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის, რეზოლუციის მუხლები ამგვარი იყო: 1) რევოლუციური ორგანიზაციების და მათ წევრთა გასამართლება იმ მოქმედებისათვის, რომელიც მიმართული იყო რევოლუციის და მის მონაპოვართა დასაცავად, დაუშვებელია. 2) ასეთი სასათის საქმეების წარმოება, თუკი ისინი რესპუბლიკის ტერიტორიაზე სადმე არის დაწყებული, დაუყოვნებლივ მოისპოს და 3) მოისპოს აგრეთვე ხარატიშვილის საქმის წარმოება, როგორც ასეთი სასათისა.

ნ. ნიკოლაძე. ბატონებო. ჩემი წინადადება მდგომარეობს იმაში, რომ მუხლი, რომელიც უდავო, უეჭვო და მისაღები არის, ეს არის პირველი და მეორე მუხლები. მაგრამ თქვენ ნება უნდა მისცეთ ყველა წევრს დამფუძნებელ კრებისა, რომ თავის სინდისის, და სურვილისამებრ მიიღოს ზოგი ადგილი წარმოდგენილ დებულებისა,

უარყოს სხვა ადგილები, რომელიც მისი სინდისის წინააღმდეგი არის.

მე გარწმუნებთ, თუ თქვენ მიიღებთ პირველ ორ მუხლს, წარმოდგენილ დებულებისა, თქვენ იდგებით სრულებით სამართლიან გზაზე, არავითარ სასამართლოს არ დაარღვევთ, მაგრამ თუ კი თქვენ გაერევით იმ კერძო საქმეებში, რომელიც აქ განხილვის საგნათ არ არის, თუ თქვენ ამ საქმის თაობაზე გამართავთ მსვლელობას, თქვენ ასცდებით პოლიტიკის გზას, გაერევით სასამართლოს წარმოებაში და ამით მოჰკლავთ თქვენ ქვეყანაში სამართალს.

მთელი ერი დარწმუნდება მაშინ, რომ თქვენ სრულიად უპასუხისმგებლოდ ყოფთ ყოველ სოციალ-დემოკრატს. და თქვენ სასამართლოს, საქართველოს სასამართლოს, დაარქმევენ სოციალ-დემოკრატიულ, პარტიულ სასამართლოს, და არა ქვეყნის, – მთელ ერის სასამართლოს.

დამფუძნებელ კრებას არა აქვს უფლება, რომ კერძო საკითხს შეეხოს. თქვენ, სახელმწიფოებრივ ორგანოებს, აქვთ სხვანაირი საშუალება, რომ არავითარი უსამართლობა არ მოხდეს ჩვენს ქვეყანაში. თუ მართლა ხარატიშვილი უსამართლოთ არის დასჯილი, არის მეორე ინსტანცია, იქნეს კიდვ მესამე ინსტანცია. თუ სამივე ინსტანცია უსამართლოთ განსჯის, გვყავს მთავრობა, რომელსაც აქვს უფლება, რომ მოსპოს. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება, რომ მთავრობამ გაანთავისუფლოს ხარატიშვილი ყოველი დასჯისაგან სხვა გზით, ამნისტიის გზით. ან სხვა რამ გზით. დღეს აქ ამაზე ნუ იქნება ლაპარაკი. დღეს ჩვენს წინაშე სდგას დიდი საკითხი ამის თაობაზე: ამ ხარატიშვილის საქმის კარგი შედეგი ის არის, რომ ქვეყანამ დაინახა, რომ დასჯილი არის რევოლუციონური ორგანო, რომ არ ორგანოს პასუხისგებაში მიცემა სამართლის გზით არ შეიძლება და ეს არის სასურველი იმდენად, რამდენადაც ეს ორგანოები საზოგადად ქვეყნის საქმეს არიგებენ.

რასაკვირველია, სრულიად განთავისუფლებული უნდა იყოს როგორც ის ორგანო, ისე ყველა წევრი ამ ორგანიზაციისა ყოველგვარ პასუხისგებისაგან, იმიტომ რომ ის მოქმედება, როგორც მიღებულია, არის სახელმწიფო უფლება. მეცნიერებაში სარგებლობს революционноу право, რევოლუციონურ უფლებით, რამოდე-

ნიმედაც სჯოგადო საქმეს, სახელმწიფოებრივ, ან პუბლიკურ უფლების საქმეს ემსახურება, მაგრამ, რამოდენიმედ, რამოდენიმედაც ამ საქმეში პირადი რამ ერეოდა, ან გრძნობა ან ცილის წამება, ან შური — ამაში, რასაკვირველია, არც თქვენ ინებებთ, და არაც ამ რევოლუციონურ ორგანოს პატივი მოითხოვს, რომ დავფაროთ ბოროტ-მოქმედება და გამოვიყვანოთ ანგელოზებად ისინი, ვინც ანგელოზები არ არიან. ამით ჩვენ დაბლა დავცემთ რევოლუციონურ ორგანოს.

ამიტომ მე წინადადებას ვიძლევი — მივიღოთ პირველი ორი მუხლი წარმოდგენილ სოციალ-დემოკრატიულ რეზოლუციისა და უარვყოთ მესამე მუხლი. ეს თქვენთვის საჭიროც არ არის, იმიტომ, რომ საქმე ისე წავა შემდეგში, როგორც მოითხოვს ქვეყნის ინტერესი. და ნუ დავამდაბლებთ ჩვენ დაწესებულებას, ჩვენ დამფუძნებელ კრებას, ჩვენ პოლიტიკურ ძლიერებას იმით, რომ გავერიოთ ივან ივანიჩის და ივან ნიკიფოროვიჩის ჩხუბში.

ჭიათურაში მომხდარი საქმე მივანდოთ სხვა გზას და იმ გზას, რომელიც ჩვენ გვაბარია, ნუ დავტოვებთ და ამ დიდი გზიდან ნუ გადავალთ.

მეტი არაფერი არ მინდოდა მეთქვა.

საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 31 ივლისის 43-ე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 26-27.

1919 წ. 30 სექტემბერს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ განიხილა კანონ-პროექტი „1915 წლის 2 თებერვლის კანონის – გერმანელთა, ავსტრია-უნგრელთა და ოსმალთათვის უძრავი საკუთრების შეძენის აკრძალვის გაუქმების შესახებ“.

ნ. ნიკოლაძე. (ერ.-დ) ბატონებო! ამ საგანს აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის, და ამიტომ ვთხოულობ, რომ ეს საკითხი ასე უცბათ და ცალმხრივათ არ იქნეს გადაჭრილი. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს დელეგაციას პარიზში ექნება მოლაპარაკება კონფერენციასთან შესახებ იმ მდგომარეობისა, რომელშიაც ჩაყენებულნი იქნებიან ჩვენში სხვა და სხვა უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი. თქვენ თუ გადაათვალიერებთ იმ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდვა ერთის მხრივ ანტანტის და მეორე მხრივ გერმანიის შუა და იმ პირობებს, რომლებიც საფუძვლად დაედო ოსმალეთთან, ავსტრო-უნგრეთთან და ბულგარიასთან მორიგებას, დავინახავთ, რომ შიგ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ სახელმწიფოების მოქალაქეთა უფლებრივი ნორმების შეზღუდვას.

ჩვენ დაგვჭირდება ეგეთივე პირობების მიღება, ან ხელახლად გადასინჯვა იმ უფლებებისა, რომელსაც ეხლა ასე უხვად ვანიჭებთ გერმანიის ქვეშევრდომებს. რასაკვირველია, მე არა ვარ მომხრე ვისიმე უფლების შეზღუდვისა, მაგრამ ამ დეკრეტში ჩამორიცხულ რუსის კანონის მოსპობას მოჰყვება დიდი ფინანსური პასუხისმგებლობა, და ამას არ შეგვილია გვერდი ავუხვიოთ. რუსეთმა 1914 წელს, ომის გამოცხადების შემდეგ, მიიღო ისეთი მკაცრი წესები, როგორიც არას დროს არცერთ სახელმწიფოს არ მიეღო. უწინ, ხალხთაშორისი უფლების ძალით ომის დროს კერძო პირთა და დაწესებულებათა ქონებას მეომარი სახელმწიფო ვერ შეეხებოდა და შელახავდა. ომი და სახელმწიფო ზომები მიმართული იყო მხოლოდ მტრული ჯარის, მთავრობის ან ხაზინის ქონების წინააღმდეგ. კერძო პირნი და დაწესებულებანი კი, მათი ქონებითურთ, ომის დროს ხელშეუხებელნი უნდა ყოფილიყვნენ.

1914-ში მეომარ სახელმწიფოებმა, ჯერ ანტანტისამ, მერე

საშუალო ევროპისმა მიიღეს მოწინააღმდეგე მხრის ქვეშევრდომთა წინააღმდეგ ახალი მკაცრი ზომები, რომლებმაც შეარყია, დაარბია და მოსპო ბევრი ქონება. ვინ იქნება ამ ზარალის პასუხისმგებელი, აღმდგენი? ეს დიდი საკითხია. ამას თან მოსდევს დიდი ფინანსური და იურიდიული პასუხისმგებლობა.

ამ საგანს არ უნდა შეეხოს ჩვენი დამფუძნებელი კრება სანამ ჩვენი სახელმწიფო არ იქნება უზრუნველყოფილი უცხო სახელმწიფოებისაგან და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა არ გამოირკვევა. ეს უფლებები დაარღვია რუსეთმა. ჩვენ არ ვიცით რუსეთს დაეკალება თუ არა მის მიერ დარღვეულ უფლების და მოხდენილი ზარალის ანაზღაურება? სანამ ეს საკითხი არ გადაწყდება, მანამდე არაფერი არ გვაკალებს ამ კითხვას შევეხოთ. ვიმეორებ, ამას დიდი პასუხისმგებლობა მოსდევს. დღეს ჩვენ მოკალე არა ვართ ეს პასუხისმგებლობა ვიკისროთ. თუ ეს შეცდომა ჩავიდინეთ, ის პირნი, ვის უფლებასაც ჩვენ აღვადგენთ, მეორე დღესვე გვთხოვენ პასუხისმგებლობას მათ ზარალში.

დამფუძნებელ კრებას ვთხოვთ, შეიძკერ გაზომოს, სანამ საბოლოოდ გადაწყვეტდეს ამ საგანს; კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტის მიღება ჯერ ადრეა.

შეგვიძლია კერძო პირთა მდგომარეობა შევამსუბუქოთ ადმინისტრაციული ზომებით, ან ნოტარიუსზე ზეგავლენით და სხვ. ხოლო ასე ზოგადად ამ მძიმე საგნის ეხლავე გადაჭრა დაღუპვა იქნება ჩვენი პოლიტიკური მოქმედებისა პარიზში, ჩვენს შინაურ მდგომარეობაშიაც შეიტანს არევ-დარევას, რადგან ზნიანებს ჩვენს ფინანსურ მდგომარეობას.

საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 30 სექტემბრის 48-ე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 4-5.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ. 31 ოქტომბერს მოისმინა შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის მოხსენება „შინაური მდგომარეობის შესახებ“.

ნ. ნიკოლაძე. ბ-ბო, მე დიდხანს არ დავიჭერ თქვენს ყურადღებას, ორიოდე სიტყვა მინდა მოგახსენოთ. ყოველთვის, როცა, რომელიმე პოლიტიკური საკითხი დგება ჩვენ წინ, როგორც დღეს, ჩვენ პარტიულ განხეთქილებას, განყოფილებას და უთანხმოებას ვკიდებთ ხელს. ჩვენ კიდევ ვოცლით თავის-თავს და ერთმანეთს ძველ პარტიების ფარგლებში. ნუთუ დღესაც არა სჩანს თქვენთვის, რომ ძველი განყოფილება არის ანაქრონიზმი? დღევანდელ ჩვენ ცხოვრების სინამდვილეს არაფერნაირად არ შეეფერება ჩვენი პარტიულად დანაწილება. ნუთუ რაიმე საფუძველი და გამართლება აქვს დღეს ჩვენს ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, რომელიც საყოველთაო არჩევნებზე არის დამყარებული, სოც-რევოლიუციონერების და სოც–ფედ. პარტიის არსებობას? (ლეო შენგელაია: თქვენს პარტიას?) გინდ ჩვენს პარტიასაც! ყველა პარტიას დაუდგა დრო, რომ ჩაფიქრდეს, სხვანაირად შეიმუშაოს პროგრამა და აწრმოოს თავის ძალები იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც ჩვენს გარშემოა. თორემ ის ძველი სახელები, ძველი განყოფილება, ძველი უკმაყოფილება ერთი მეორის წინააღმდეგ მარტო ნგრევის და არა შენების იარაღია. (გობერია: შევრიგდეო!). აგრეთვე სრული უსაფუძვლოა ის საყვედური, რომლითაც ერთმანეთს მივმართავთ ხოლმე, როგორც მაგალითად ჩვენს პარტიას აბრალებენ, ვითომ ჩვენი დასის, ან კლასის, რომელიმე შესამჩნევი ძალა გარეოდეს, ან შესძლებოდეს გარევა იმ გამოსვლაში, რომელზედაც არის ლაპარაკი. ეს ყოვლად შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელი იყო და ყოვლად შეუძლებელი მუდამ იქნება. თუ მართლა სიმართლეს ლაპარაკობთ და არა ტყუილ-უბრალოდ ბარაბანს უკრავთ, ფაქტები და სახელები მოიყვანეთ. გარწმუნებთ, სრულებით შეუძლებელია ჩვენიბურჟუაზიული, ან ნაციონალური პარტია გამოვიდეს დემოკრატიის წინააღმდეგ, რესპუბლიკის და თვითმარსებობის ნგრევის იარაღად გახდეს. (რუსია: ისტორია?).

ისტორია იმას მოგახსენებთ, რომ დემოკრატია შეჰქმნა ბურჟუაზიამ. ვინც ოდნავ მაინც იცის ისტორია, მისთვის ცხადია, რომ დემოკრატია შექმნილია ბურჟუაზიისაგან. ყოველიფერი, რაც არსებობს რესპუბლიკის საფუძვლებში, ეს შეჰქმნა ბურჟუაზიამ თავის შენაძენ უფლებების დასაცავად. სოციალიზმს დემაგოგიის მეტი ჯერ არაფერი შეუქმნია. ის ყოველთვის ყოფილა დესპოტიზმის წინამორბედი. დესპოტიზმის მეტი არა შეუქმნია რა და ვერც შეჰქმნის (ხმაურობა). ნება მიბოძეთ გამოვსთქვა, რაც მწამს. მე ხომ ხელს არ გიშლიდით, როცა თქვენ ბრძანდებოდით აქ. მე მოგახსენებთ ნათქვამის დასამტკიცებლად უდავო საბუთს. ხომ თქვენ თვითონ ბრძანებთ, რომ სოციალიზმმა უნდა დააარსოს პროლეტარიატის დიქტატურაო? ასეა ეს, თუ არა? რა არის დიქტატურა, თუ არა უმცირესობის გაბატონება უმრავლესობაზე? (თოფურიძე: ეგ გაუგებრობა არის!) ეს გაუგებრობა არ გახლავთ. ნება მიბოძეთ მოგაგონოთ, ამეებს იმიტომ კი არ ვამბობ, რომ თქვენი პარტია და ჩვენი მთავრობა შევასუსტო... (რეპლიკა სოციალ-დემოკრ: ეგ, ძნელია, ბატონო!) ჩემზე უფრო ერთგული მომხრე თქვენი პარტიის მმართველებისა და მისგან შექმნილი მთავრობისა, მგონია, თქვენს წრეშიაც ვერ მოიძებნოს. (დადიანი: ძალიან საინტერესოა! ხმაურობა. თავმჯდომარე: დააცადეთ ორატორს).

რაც მე მოგახსენეთ, ჩვენი პარტიის ყველა მომხრეებმა დაამტკიცეს ამ ორი წლის განმავლობაში. დიდი უმეტესობა ჩვენი პარტიისა იყვნენ შეწუხებულნი და გაძარცულნი თქვენი მოქმედებით. მაინც მათ შორის თქვენ მოწინააღმდეგე არა გყოლიათ, არც გეყოლებათ, სანამ თქვენ დგებართ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ნიადაგზე. ამას მოგახსენებთ დარწმუნებით, როგორც წარმომადგენელი მთელი ჩვენი პარტიისა. ამას მოგახსენებთ იმიტომ, რომ ეს არის სრული ჭეშმარიტება. ჩვენი სულით და გულით გვინდა დავაარსოთ ჩვენი სახელმწიფო, გავამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამ დამოუკიდებლობისათვის საჭირო არის, რომ არ ვაფერხებდეთ მთავრობას, გავაძლიეროთ იგი და მივცეთ მას ყოველგვარი საშუალება, ებრძოლოს ყველას, ვინც წინააღმდეგია ჩვენი დამოუკიდებლობისა. ამ გზას ადგა არა თუ მარტო ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი თავად-

აზნაურობა, სამღვდელოება, ბურჟუაზია. ეს დაამტკიცა ამ ორნახევარი წლის განმავლობაში მათმა საქციელმა. არ მესმის, რისთვის ვარღვევთ ჩვენ უკვდავ დემოკრატიულ პრინციპებს, რომ ძალა ერთობაშია, რისთვის ვქადაგობთ ურთიერთშორის სიძულვილს ამ კათედრიდან, სადაც ყოველი სიტყვა უნდა იყოს ნათქვამი დაფიქრებულად და პასუხისგებით? რისთვის მუდამ ვაღვივებთ სამოქალაქო ომის ცეცხლს?

ძალიან დიდი პატივისმცემელი ვარ ბატონ ჯუღელისა, რადგან ის არის ჩვენი სახალხო გვარდიის მოთავე; დიდი და გულწრფელი პატივისმცემელი ვარ, აგრეთვე, თვით სახალხო გვარდიისა, რომელიც დიად როლს თამაშობს ჩვენი თავისუფლების და წესიერების დაცვაში, მაგრამ, როგორც პოლიტიკური დოქტრინები, ვფიქრობ, რომ არც გვარდიის წარმომადგენელი, არც ბ. ჯუღელი, როგორც ასეთი, არ უნდა გამოდიოდეს ამ ტრიბუნაზე და არ უნდა გამოთქვამდეს აქ იმისთანა სიტყვებს, რომელნიც შორიდან თუ ახლოდან გვახსენებენ სამოქალაქო ომს. ეს გახლავთ დემოკრატიულ პრინციპების დარღვევა. პირველი პრინციპი ყოველი დემოკრატიისა, მოგეხსენებათ, ის გახლავთ, რომ ჯარი არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში და პოლიტიკურ ბრძოლაში. გვარდია არის ჩვენი ძალების თვალსაჩინო ნაწილთაგანი და ამიტომაც გვიყვარს ეს სახალხო გვარდია; ჩვენი პარტია, ჩვენი იმ წრეების წარმომადგენელნი, რომლის სახელით მოგახსენებთ ამპარტავნობს ჩვენი გვარდიით, და დარწმუნებულია, რომ ის, როგორც ჩვენი რეგულარული არმია, ყოველთვის დემოკრატიული დარჩება და არ გაერევა ჩვენ პოლიტიკურ უთანხმოებებში. მას უფრო დიადი, ძლიერი და სუფთა როლი აქვს: საერთო მამულის და წესის დაცვა. მე ამისთანა ლაპარაკით არ მოგაცდენთ. ვუბრუნდები იმ კითხვას, რომელიც დასმულია. ბ. მინისტრმა შეასრულა თავისი მოვალეობა და მოგახსენათ, თუ რა საფრთხე უდგა წინ ჩვენ ქვეყანას; ეს ოპერეტა არ ყოფილა, როგორც თქვენმა პრესამ შეცდომით გამოსთქვა. ეს ეს იყო ნამდვილი საფრთხე, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ხალხს უცხოელების დიდძალი ჯარი შემოესია, არამედ იმიტომ, რომ ძნელს მდგომარეობაშია ჩვენი ხალხი, და არც მარტო ჩვენი ხალხი, მთელი ქვეყნის ხალხები. ცხოვრება ნამეტნავად გაძვირდა, სიმშილი

წინ გვიდგია და ამისთანა გასაჭირში მყოფ ხალხს ადვილად აიყოლიებს და ააშფოთებს მოქრთამული ბოროტგამზრახვი ბრბო. როგორც მოგახსენათ ბ. მინისტრმა, საქმე, მადლობა ღმერთს, ასე ადვილად გათავდა. ღმერთმა ქნას, რომ ყოველი საფრთხე, როგორც ამ შემთხვევაში მთავრობას აუცილებია, ჩვენი ქვეყნისათვის მუდამ ისე მართლაც სასაცილოდ და სამასხაროდ გადაქცეულიყოს. ეს ვისურვოთ. ის რაც ბრძანა ზოგიერთმა ორატორმა, სამინისტროს მიერ, რატომ უფრო ადრე არ იყო მიღებული ზომები, ამგვარ საყვედურს თავი დავანებოთ. რაც იყო, იყო. მოვითხოვოთ, რომ შემდგომში, როგორც ბრძანა ბ. ჯუღელმა, სუსტათ და ლმობიერად აღარ ეკიდებოდეს მთავრობა ამგვარ საქმეებს, რომ სასტიკი ზომები ყოფილიყოს მიღებული წინასწარ, ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცავად ყველას წინააღმდეგ, ვინც უნდა იყოს იგი, რომელიც კი შელახავს ჩვენს წესიერებას და დამოუკიდებლობას. ვინც მტერი იქნება ჩვენი თავისუფლებისა, მთავრობამ უნდა შემუსროს. ჩვენ იქნობამდი ვიქნებით მისი მომხრე, სანამ ამ მოვალეობას იგი მტკიცედ აასრულებს.

საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 31 ოქტომბრის 57-ე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 34-36.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 11 ნოემბერს განიხილა დეკრეტი „ტყიბულის მუშა-მოსამსახურეთათვის 1919 წ. აგვისტოს და ოქტომბრის ჯამაგირის მისაცემათ 1 200 000 მან. გადადების“.

ნ. ნიკოლაძე (ნ.-დ.) ბატონებო! მე არ გახლავართ წინააღმდეგი ხარჯის გაცემისა. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, დროა გამოვარკვიოთ, როდემდის ვიმოქმედებთ იმ სინელით, იმ სისტემით, რომლითაც აქამდის ვმოქმედობდით? ამ საშინელ გაჭირვების დროს, ისეთი სიმდიდრე, როგორიცაა ტყიბულის სანახშირე და ბევრი მსგავსი სხვა, რჩება სრულიად უმოძრაოდ. გაგახსენებთ იმ მოხსენებას, რომელიც გაგიკეთეთ სწორეთ ამ ერთი წლის წინათ, როცა გერმანიიდან დავბრუნდი. მაშინ მოგახსენეთ, რომ ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა არ გაუმჯობესდება, სანამ არ გვექნება საკუთარი წარმოება და მრეწველობა. გავიდა ასეთი დიდი დრო, მდგომარეობა კი ისევ ისეთია. არავითარი ცვლილება არ მომხდარა წარმოების საქმეში, არც სხვა სფეროში. გარდა ამისა, როგორც მოგახსენათ მიწათმოქმედების მინისტრმა, ცოტათ გაძვირდა მიწის დამუშავება პურისა და სიმინდის თესვის სახით. ესე იგი ისეთი წარმოება, რომელიც ყველაზე უფრო ნაკლები სარგებლობის მომცემია ქვეყნისათვის. ჩვენ მზიან ქვეყანაში შეიძლება განვითარდეს ისეთი წარმოება, რომელიც მეტი ხეირის მომცემია, ვიდრე პური. შრომის ეკონომია მოითხოვს ვაწარმოვოთ, ვთესოთ და მოვიყვანოთ ის, რაც მეტ მოგებას მოგვცემს. რასაკვირველია, დღეს როცა შეკრულია გზები, იძულებული ვართ, პურიც ვთესოთ, მაგრამ ჩვენი ქვეყნისათვის საუკეთესო მომგებიანი საქმე იქნებოდა მოყვანა იმისა, რასაც „კულტურულ მცენარეს“ ეძახიან, მაგალითად ბამბა, ვენახი და სხვა, რომელიც ვერ იბადება რუსეთში, არც სხვა ცივ ქვეყნებში.

აი ნახშირის საქმე. მთელი შავი და შუამდებარე ზღვის არე-

მარე მოითხოვს ნახშირს. ნახშირი არის ძვირი და საჭირო ნაწარმოები. ჩვენი მდგომარეობა არ გამოკეთდება სანამ საკმარისად არ განვავითარებთ ნახშირის საქმეს და მით არ გავაიაფებთ ფრახტს. მთელი აღებ-მიცემობა, საქონლის გაცვლა გამოცვლა დამყარებულია ფრახტზე, რომელსაც მართავს ნახშირის ფასი. ეს ორი წელიწადია რაც თავისუფლება შევიძინეთ და ამ დიდ საქმეს ყურადღებას არ ვაქცევთ. თქვენ გქონდათ ხელსაყრელი წინადადება გერმანიისაგან შესახებ ტყიბულის ნახშირისა, მაგრამ ვერ შეასრულეთ. თორემ, რომ შეგესრულებიათ, ჩვენი ვალიუტა დღეს სულ სხვა იქნებოდა. ვალიუტაზე ბევრი იყო ნათქვამი სადემაგოგიოთ, ბევრი შემცდარი აზრი, რომელიც ხალხში არ უნდა ყოფილიყო გატანილი. მოგეხსენებათ ყველას, ვისაც ეკონომიური მეცნიერება შეუსწავლია, რომ ვალიუტა არის ტერმომეტრი, წარმომადგენელი იმისა, თუ რომელ ქვეყანაში გაზიდული საქონელი რამდენად აღემატება, ან ნაკლებია შემოზიდულზე. სანამ ჩვენ არ მოვახერხებთ ისე მოვაწყოთ საქმე, რომ მეტი ღირებულების საქონელი გავიტანოთ, ვიდრე შემოვიტანეთ, მანამდე ჩვენი ვალიუტა იქნება სუსტი და დაცემული. ამიტომ ისეთი სიმდიდრე, როგორიც არის ტყიბულის, ან სხვა ქვანახშირი უნდა მუშავდებოდეს და იზიდებოდეს განსაკუთრებით ზღვის პირად. უამისოდ ჩვენი ვალიუტა მუდამ ჩამორჩენილი იქნება.

ხოლო ნახშირის დამუშავება საკუთარი ძალით ჩვენ არ შეგვიძლია. მთავრობას ბევრი საქმე აქვს და ვერ უსაყვედურებთ, რომ ნახშირი უმოძრაოდ რჩება. თუ შარშან, მაგალითად, მისი დამუშავება გაგვამდიდრებდა, მთავრობამ კი ეს ვერ მოახერხა, სამდურავი არც კი ეთქმის, რადგან დიდმა რუსეთმა ჩვეულებრივ პირობებშიც ვერ შესძლო ამგვარი საქმის მოგვარება. მაშ რა უნდა ვქნათ? უნდა მივმართოთ უცხო ძალას. ჩვენ გვეუბნებიან უცხოელები: მოგვეცით კონცესია, ჩვენ დავამუშავებთ და მოგების ნაწილს მოგცემთო. ეს ძნელი საქმე არ გახლავთ. მცოდნე კაცი ამას 24 საათში გადაწყვეტდა და ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა, რომ ჩვენ უწყებას, რომელსაც ბევრი საჭირო მასალა აქვს და სტატისტიკაც მოეპოვება, არ შეუძლია ამ საქმის მოწესრიგება და კონცესიების გაცემა? ამ კონცესიას ხომ სარჩულად ედება ის

სიმდიდრეზე, მადნებზე, ტყეებზე, მდინარეებზე, სამკურნალო წყლებზე და სხვ. ამ გასაჭირში, როცა არ გვაბადია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი. წარმოების გაჩაღება არის ერთად-ერთი ჩვენი ხსნა; უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოეთს ვთხოვთ საყიდ საქონელს. მე ეს გეგმა შარშან მოგახსენეთ, მაგრამ საქმე დღესაც უყურადღებოთ არის გადადებული. გარწმუნებთ, სხვა გზა ჩვენი წარმატებისათვის არ არსებობს, მხოლოდ აქიდან გაგვიჩნდება საშუალება მოვუაროთ ჩვენ თავს და შევინახოთ ჩვენი დამოუკიდებლობა და თვითარსებობაც. მარტო ბონების ბეჭდვით შორს ვერ წახვალთ; არ ვიცი როდის, მაგრამ შესაძლოა სულ მალე, სრულებით დაეცემა ბონა. ბონა – ვექსილია, და ვექსილზე ხელის მოწერა არის მახე, რომელიც დაღუპავს იმას, ვინც უანგარიშოთ ზედ ხელს აწერს. მე თვითონ ჩემს თავზე გამომიცდია ეს კანონი, არა როგორც ეკონომისტს, არამედ როგორც კერძო პირსაც. თქვენ ეს კონცესიები უნდა გასცეთ უსათუოდ, შეიმუშავეთ შესაფერი გეგმა. ნუ გეშინიათ კონცესიების. ინგლისი და საფრანგეთი ჩვენზე უკეთეს მდგომარეობაში, უფრო გამოცდილები არიან, მაგრამ კონცესიებს ხშირად გასცემენ ხოლმე და მით ცხოვრობენ. ეს უნდა მოახდინოთ რაც შეიძლება საჩქაროდ და, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ ხაზინა მონაწილე იქნეს მოგებაში. ამით შევძლებთ ჩვენ მუშას კარგი ხელფასი მივცეთ და ინტელიგენციასაც მოვუაროთ. სხვანაირად ჩვენი ხალხი თავს ვერ შეინახავს. დღეს არსებული წესი დიდხანს ვერ გასტანს. იმ პირობით, რომ ხაზინა მონაწილე იქნეს მოგებაში. ამით შევძლებთ ჩვენ მუშას კარგი ხელფასი მივცეთ და ინტელიგენციასაც მოვუაროთ. სხვანაირად ჩვენი ქვეყანა ისე მდიდარია ბუნებრივად, რომ ადვილად ვიშოვოთ ფულს, ოღონდ გადაწყვიტეთ რა გზას ვადგიაართ, გამოარკვიეთ თქვენი ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის პლანი. ამას მარტო მე კი არ გირჩევთ, არამედ თქვენი პარტიული იდეოლოგი ბ. ვოიტინსკიც სწორედ იმას ამბობს, რომ თქვენ გაკლიათ ეკონომიური პლანი. ერთად-ერთი შესაძლო პლანი ის გახლავთ, რომლის შესახებ მე შარშან მოგახსენებდით. შეიმუშავეთ ეს პლანი და ჩვენს კეთილდღეობას საზღვარი არ ექნება. თქვენი

პარტიის არა თუ ინტერესი, – დოგმატიც არის – წარმოების განვითარება განახორციელოთ. ეს დოგმატია. ამას მოითხოვს სარგებლობა ერისა და თქვენი პარტიისა. ოღნდ მოსთხოვეთ მთავრობას საჩქაროდ მიიღოს ზომები, დაადგეს გარკვეულ გზას და დროს ნუ უკარგავთ შეუდგეს მუშაობას.

საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 11 ნოემბრის მესამოცე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 25-27.

1920 წ. 24 თებერვალს დამფუძნებელ კრებაში განიხილებოდა კანონ-პროექტი „საგვარეულო უძრავ ქონების გამოსყიდვის უფლების გაუქმების“. კანონ-პროექტი ითვალისწინებდა საგვარეულო უძრავი ქონების გამოსყიდვის ინსტიტუტის გაუქმებას და ამ საკითხებზე 1918 წ. 26 მაისიდან სასამართლოში დაწყებული საქმეების მოსპობას.

ნიკო ნიკოლაძე (ნ.-დ.) მინდა მოგახსენოთ, რომ არსებითად საკითხი იმის შესახებ, რომ მამაპაპეულ მამულების გამოსყიდვა უნდა მოისპოს ამიერიდან უდავო არის ყველასათვის: თვითონ კანონში იყო განმარტებული, რომ ეს შეეხებოდა მარტო თავადაზნაურობის მამულებს მამაპაპურად გადმომავალთ. რადგანაც ამისათანა მიწათ-მფლობლობა თითქმის მოისპო ჩვენში, საჭირო აღარ არის შეინახოთ ის კანონი, რომლის მოსასპობად არის შემოტანილი ეს კანონ-პროექტი. რაც შეეხება უკუმოქმედებას, 25 მაისიდან დაწყებული, იმ შენიშვნის მიღება, რომელიც ავრცელებს კანონ-პროექტის ძალას ყველა საქმეებზე, რომელიც კი სწარმოებენ ეხლა სასამართლოებში, სრულიად სამართლიანი იქნება. თუ ეს შენიშვნა არ მივიღეთ ახი, რა უსამართლობა მოხდება. დაბრუნება დღეს იმავე ფულისა, რომელიც მიღებული იყო ამ 12 წლის წინათ იქნება გაგლეჯა მყიდველისა. თუ გნებავთ რომ დაცული იყოს ის, რასაც ეხლა ბ. მესხიშვილი ეძებს, როცა ბრძანებს, რომ პრინციპიალურად უსამართლობა იქნება ეს უკუქცევა კანონისაო, მაშინ სიმართლე იმას მოითხოვს, რომ დააფასოს სასამართლომ, რა ღირს, დღეს დღევანდელ ფულათ, ის ფული, რომელიც გაღებული იყო შარშან, მამულის ყიდვის დროს. შარშან, იმ მამულის მაგიერ, იმავე ფულით მყიდველი იყიდდა სრულებით სხვა რაოდენობას საქონლისას, ვინემ დღეს იმავე ფულით შეიძენს. შარშან 100 მანეთად ის იყიდდა ორ ფუთ სიმინდს, წრეულს კი ვერ იყიდის ერთ მეხუთედსაც ფუთისას. თუ გინდათ დაიცვათ სიმართლე, ახი ამ დონეზე უნდა დააყენოთ საკითხი. როცა სპობთ კანონს ამ მამაპაპეულ მამულების დაბრუნებისას, თქვენ უსათუოდ უნდა განმარტოთ – რა რაოდენობა ფულისა უნდა მიეცეს იმას,

ვისაც აიძულებთ გამყიდველის ნათესაობას დაუბრუნონ მისგან ნაყიდი მამული. სპეკულაცია იმაში კი არ მდგმოარეობს, რაზედაც ათითებს ბ. მესხიშვილი, ვითომ მარტო 17 ახლად გამდიდრებულ სპეკულიანტებმა იყიდონ მამულები. და მარტო იმათ კი არ ვართმევთ... (მესხიშვილი; 15 სპეკულიანტი და ორი ბანკი). 15 იქნება, თუ ერთი, რამდენადაც ჩვენ გვესმის, სიმართლე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ 17 კაცს შეეხოს თუ ერთს; სიმართლე ყველასათვის ერთი უნდა იყვეს. ერთი კაცისათვისაც კი თუ დაირღვა სიმართლე, ის სიმართლედ აღარ დარჩება. იმას მოგახსენებდით, რომ ნამდვილი სპეკულაცია სწარმოებს იმ პირებისაგან, ვინც არღვევს გაყიდულების პირობას, არა იმისათვის ვითომ მამაპაპეული მამული დაიბრუნოს, არამედ იმ მიზეზით, რომ ჩვენი ფული დღითი დღე კარგავს თავის ღირებულებას და მას შეუძლია ათჯერ უფრო დაიბრუნოს გაყიდული მამული. ფულის გაიაფებამ გააჩინა ახალი სპეკულაციისაკენ მისწრაფება. არღვევენ გაყიდულობას არა მარტო დიდი სახლების, ან მამულების შესახებ, არამედ ძალიან მცირე მიწის ნაჭრებისას. ეხლა სწორედ ამ მიზეზით, ამ ნიადაგზე მტრობა დიდი არსდება, სისხლის ღვრაც ხდება ამ ნიადაგზე, ამის გამო ჩვენ ან უნდა მივიღოთ კანონ-პროექტი, რომელიც წარმოადგინა მთავრობამ, ნამდვილ სიმართლის დასაცავად, იმნაირად, როგორც ეს წარმოდგენელია, ან და თუ მაინც და მაინც გნებავთ, რომ ეს უკუქცევა უკუვაგდოთ, მაშინ უნდა დააწესოთ, რომ სასამართლონი, რომელნიც არჩევდნენ ამგვარ საქმეებს, ღებულობდნენ მხედველობაში ფულის ღირებულების დაცემას, და ამ ანგარიშს იღებდნენ სახელმძღანელოთ, თუ დაბრუნების დროს რა ეღირება ყიდვის დროს გაცემული ფასი. უამისოთ გამოყიდვა იქნება ცარცვა-გლეჯა იმ პირებისა, ვინც მამული გულწრფელად იყიდა.

საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1920 წლის 24 თებერვლის 90-ე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 28-29.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 5 მარტს განიხილებოდა „დეკრეტი სახაზინო და კახეთის რკინის გზების ტარიფის გადიდების“.

ნ. ნიკოლაძე. (ნ. -დ.) ბატონებო! ჩვენი ფრაქცია მხარს უჭერს ამ კანონ-პროექტს, რომელიც წარმოდგენილი არის; მხარს უჭერს იმიტომ, რომ როგორც მშვენივრად დაამტკიცა ბ. ღლონტმა, სხვა გზა არ ყოფილა, უსათუოდ უნდა გავასამკეცოთ, გავაოთხკეცოთ ის ტარიფი, რომელიც ასე უმნიშვნელო იყო. თუ მართლა ქალაქი ახდევინებს ბევრად უფრო მეტს გადასახადს მოტანილ საქონელზე, ვიდრე რკინის გზა, რომელსაც ეს საქონელი გადააქვს რამდენიმე ასეულ თუ ათეულ ვერსზე, რასაკვირველია, აუცილებლად საჭირო იქნება, რომ გავადიდოთ 10_ჯერ, 100_ჯერ (ს. დადიანი: კარგი დასკვნაა! ნინიძე: კარგი დასკვნაა, რადგან სხვა დასკვნას ვერ გამოიყვანს, ვისაც თავში ლოღიკა აქვს! ს. დადიანი: თავიც გააჩნია!) ბატონებო, თქვენ უნდა მიაქციოთ ყურადღება უწყებისაგან წარმოდგენილ გაფრთხილებას, რომ ჩვენი რკინის გზა არის უმწეო მდგომარეობაში და საჭიროა მატარებლების და ვაგონების განახლება. მე ვუმატებ ამას კიდევ სხვა გაფრთხილებას: ბევრი ხიდები გექნებათ შესაკეთებელი, ახლად გასაშენებელი, და თუ დროზე არ შევაკეთებთ, ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში ჩაიქცევიან და ჩვენი რკინის გზაც ვეღარ იმუშავებს. ამიტომ ჩვენი ფრაქცია სავსებით მხარს უჭერს ამ კანონ-პროექტის დამტკიცებას. (ხმა: ბარემ აქეთ გადმობრძანდით!) ბატონებო ჩვენ ფრაქციას სულ სხვანაირად ესმის თანამშრომლობა დამფუძნებელ კრებაში, ვიდრე თქვენ ფრაქციას. ჩვენ გვგონია, რომ როდესაც ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ არა იმიტომ, რომ ვუთხრათ, ჩამოდექით და ჩვენ დავსხდებით თქვენს სკამებზეო. ჩვენ გვაინტერესებს ჩვენი მამულის და თავისუფლების განმტკიცება. ჩვენ მტრულად კი არ ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ ძმურად; და თუ ჩვენ არ გიშლით თქვენს მტრულს ლაპარაკს, თქვენს მტრულს გამოსვლას ნება მოგვეცით... (ს. დადიანი: კარგი დამცველი გაუჩნდა მენშევიკებს! ხმაურობა, თავმჯდომარე ზარს რეკს)... ბ-ო, მე

მოგახსენეთ, რომ ჩვენი ფრაქცია მხარს უჭერს ამ კანონ-პროექტს, მაგრამ ვსარგებლობ შემთხვევით, რომ სხვა გაფრთხილებაც მოგახსენოთ. ახ ბატონებო! ხედავთ რამდენად დიდდება, რამდენად ძვირდება ჩვენს რკინის გზაზე ფასი. სანამდის უნდა უყუროთ ამ სისტემატიურად გაძვირებას, ზომების მიუღებლობას, რომ როგორმე გადავატრიალოთ ჩვენი რკინის გზის, ჩვენი ფინანსების და მეურნეობის გარემოება, რომ ჩვენს ქვეყანას ემსახურებოდეს ჩვენი რკინის გზა და არა სხვას. როგორც მოგახსენეს, ნახევარ მილიარდ ზარალს იძლევა ერთი დღის განმავლობაში. კიდევაც, რომ გავადიდოთ, 20 მილიონი დეფიციტი კიდევ დარჩება, გარდა იმ დეფიციტისა, რომელიც გამოწვეულია მიწის ძვრისაგან. სხვა მეზობელ ქვეყნებს, მაგ. აზერბაიჯანს, ჩვენი რკინის გზა აკეთებს, მის ნავთს ხარჯავს და არ შეუძლიან ჩვენ რკინის გზას არ დახარჯოს ბაქოს ნავთი. ერთ ფუთ ნავთში ვაძლევთ 20 მანეთს, რამდენსაც უნდა იხდიდეს ჩვენი რკინის გზა, ნაკლებს თუ მეტს, ყოველ შემთხვევაში, თან და თან ყოველთვიურად დიდი იქნება გადასახადი. ამნაირად ჩვენი რკინის გზა ჩვენ ქვეყანას ზარალს აძლევს, ხოლო სხვის ქვეყანას კი სიკეთეს. სანამ ამ მდგომარეობას არ გადავლახავთ და არ ვიზამთ იმას, რომ ჩვენის რკინის გზით მდიდრდებოდეს ჩვენი ქვეყანა და სხვის საქონლის გადატანა ჩვენს რკინის გზას სარგებლობას აძლევდეს, მანამდი ჩვენ ნამდვილი, მტკიცე დამოუკიდებელი მეურნეობა არ გვექნება. რაკი ჩვენი რკინის გზა მოქმედებს ნავთით, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ჩავვარდებით, რომ ბაქო ბოლშევიკებმა ჩაიგდონ ხელში. ჩვენი ქვეყანაც მთლად ხელში ჩაუვარდებათ მათ. მათ ხელში იქნება ჩვენი მატარებლების მიმოსვლა, ჩვენი მრეწველობის და მეურნეობის განვითარება დამოკიდებული იქნება ბოლშევიკებზე, ან ბაქოს მფლობელთა სურვილებზე.

ამ მდგომარეობას, რომ თავი დავაღწიოთ, როგორც დაარსდა ჩვენი ქვეყანა, როგორც გამოცხადდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, უნდა დაგვეწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეექმნათ ნამდვილი დამოუკიდებლობა ჩვენი რკინის გზისა, მიმოსვლისა, ჩვენი მრეწველობისა და მეურნეობის განვითარებისა. ჩვენ გვაქვს ეს საშუალება. რომ არ ჰქონდეს ჩვენს ქვეყანას ასეთი საშუალება,

რომ დავაღწიოთ თავი ამ დამოკიდებულებას, მაშინ კიდევ ჰო. მაგრამ ჩვენ გვაქვს აუარებელი ძალა, სულ ცოტა რომ სთქვას კაცმა, 3–4 მილიონი ცხენის ძალა მოგვეპოვება ჩვენს მდინარეებში. ჩვენ რომ მარტო ერთი მესამედი დავსარჯოთ ამ ძალისა, ეს საკმარისი იქნება, რომ ჩვენმა რკინის გზამ იაროს. ბატონებო! ჩვენ უნდა დაუმტკიცოთ ეს კანონ-პროექტი მთავრობას, მაგრამ ამასთანავე უნდა დავავალოთ, რომ მთავრობამ ზომები მიიღოს, არც ერთი დღე არ დაკარგოს, შეადგინოს გეგმა, გამოითხოვოს, რამდენიც დასჭირდება ფული, რომ ჩვენი რკინის გზა დაიარებოდეს ელექტრონით. როცა ეს გვექნება ხელში, მაშინ ჩვენ გვექნება ნამდვილი ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მაშინ ჩვენი მეზობლების მეურნეობა, მათი აღებ-მიცემობა, საქონლის გადაზიდვა ჩვენ ზარალს კი აღარ მოგვცემს, არამედ მოგებას მოგვიტანს იმიტომ, რომ, როდესაც გადავზიდავთ იმ ნავთს, რომელსაც გზავნის და უნდა გაგზავნოს ბაქოს ბერბაიჯანმა ევროპაში, ეს მოგვცემს ჩვენ ნაღდ მოგებას და არა წაგებას, ჩვენი სხვისი მოსამსახურენი კი არ ვიქნებით, არამედ ვიქნებით ჩვენი ქვეყნის ხელის შემწყობნი და არა მისი გამაღარიბებელნი, როგორც დღეს ვართ. ეს არის ერთი ზომა. არის აგრეთვე მეორე ზოგადი ზომა, ჯერ შესასწავლი და არა დღესვე მისაღები. – ჩვენ უნდა გავაკეთოთ მილი გროზნომდის, იმისათვის, რომ ბაქოს სათამაშონი არ გავხდეთ, როგორც დღესა ვართ (სამ. დადიანი: ამერიკაში გავიყვანოთ სჯობია!) თუ ეს არ გესმით რასაც მე ვლაპარაკობ, სირცხვილია, რომ ბედავთ ხმის ამოღებას. ეს სრულიად მიუღებელია ჩვენი დამფუძნებელი კრებისათვის. უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, აქ არიან ისეთი პირები, რომელთაც თქვენ შეგიძლიათ დაუჯეროთ, რომელთაც გაეგებათ, შეუსწავლიათ ეს საქმე და იციან, რომ ეს ძალიან ადვილი შესაძლებელი არის, დიდ მოგებასაც მოგვცემს და ეკონომიურ დამოკიდებულებისაგანაც გაანთავისუფლებს ჩვენს ქვეყანას. და როცა ჩვენ გვექნება საშუალება, რომ ორი ქვეყნიდან მივიღოთ ნავთი, დაარსდება კონკურენცია ბაქოსა და გროზნოს შუა, და არ ვიქნებით ბაქოს სათამაშო ნივთი. არ გადვიხდით, რასაც გვიბრძანებენ ბაქოდან. დღეს კი ვიხდით. აი ერთი საშუალება. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენი მდინარეების ძალა. ჩვენთვის

საჭიროა 25, 30, 40 ათასი ცხენის ძალა, რომ ავამოქმედოთ მთელი რკინის გზები. მარტო რიონი, მტკვარი, ან ალაზანი მოგვცემს ამ ძალას. ეს რომ ძნელი იყოს, არ მოგახსენებდით, მაგრამ ჩემი თვალით მინახავს შვეიცარიაში, გერმანიაში სრულიად დამზადებული მაშინები, რომელიც შეიძლება მოვიდეს და თავის დანიშნულებას შეუდგეს, ეს უნდა ვქნათ, რომ მასიური საქონელი იაფად გადავიტანოთ. ეხლაც მოგახსენათ დირექტორმა, რომ არის ზოგი მასიური საქონელი: ნავთი, შეშა და სხვა, რომელიც ვერ აიტანას ძვირ გადასახდ ფასს. თუ ჩვენ არ მივაქციეთ ყურადღებას, რომ იაფად ეღებოდეს ჩვენთვის ამ საქონლის გადახდვა, ეს საქონელი ჩვენი ქვეყნიდან ვერ გავა. მაშასადამე, ვერ მივაღწევთ იმ სარგებლობას, რომელსაც ვამბობთ. აგრეთვე მარგანეცი. მალე დადგება დრო, როცა მარგანეცს ვეღარ მივიღებთ, თუ არ მივიღეთ ზომები, რომ გადატანა გავაიაფოთ. გარდა იმისა, რომ უმატოთ ფასებს, ჩვენ უნდა ვეძებოთ ყოველგვარი საშუალება, რომელიც გააიაფებს გადატანას. ამ საშუალებას მოგვცემს თეთრი ნახშირი. ეს უნდა დავავალოთ რკინის გზის უწყებას, რომ მან დაუყონებლივ შემოიტანოს სმეტები და პროექტები ამ ცვლილების მოსახდენად.

საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1920 წლის 5 მარტის 94-ე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 16-18.

OTAR DJANELIDZE

NIKO NIKOLADZE

(the unknown years of biography)

SUMMARY

The given research deals with the certain period of life of the prominent Georgian figure and thinker Niko Nikoladze. The work particularly covers 1918-1921 and coincides with indepedent Georgian Democratic Republic. This period of Nikiladze's activity has not been clarified yet in any research which deals with his personal history. Moreover, these years in his biography are simply omitted. Therefore the portrait of the last great representative of national movement is rather one-sided and colourless.

Niko Nikoladze was one of the founders and the most prominent member of Georgian National-Democratic party. He participated in the first National Georgian Convention in November 1917, where he was elected to the Georgian National Council. He was among those politicans who on May, 26, 1918 was the member of Georgian delegation which made treaties with Getmany first in Poti, then in Berlin.

In February, 1919 N. Nikoladze was elected to Georgian Constituent Assembly as a deputy from National-Democratic party. As a result of the elections Social-Democrats took the office. 8 deputies from the National-Democratic party made the small right wing opposition faction. N. Nikoladze intensively took part in legislative activity. He was elected to of roads and highways committee.

In April, 1920 N. Nikoladze being the member of economic mission of Georgian Republic was sent abroad.

On February, 25, 1921, Tbilisi was invaded by the forces of Soviet Russia. Georgian Democratic Republic was toppled. One part of the government and Constituent Assembly emigrated. Temporarily,

N. Nikoladze also joined the said group of emigres. He took part in Paris interparty conference of Georgian emigres who made united front for restoring independence of Georgia.

While his presence in Europe N. Nikoladze took part not only in political activity but also participated in settling down of various economic issues in favour of Georgia. In 1924, 81 years old he parted with emigres and returned to Georgia.

N. Nikoladze had not repudiated his creed. He had never co-operated with Soviet authorities. He died in 1928 with firm conviction of ruin of Communism and rebirth of independent Georgia.

N. Nikoladze's speeches in Georgian Constituent Assembly are applied to the book as appendix.

ОТАР ДЖАНЕЛИДЗЕ

НИКО НИКОЛАДЗЕ
(вырванные листы из биографии)

РЕЗЮМЕ

В указанном труде рассмотрен один из конкретных отрезков (1918-1921 гг.) из жизни известного грузинского общественного деятеля и мыслителя Нико Николадзе. Он приобретает особую значимость, если учесть, что это связано с судьбоносным периодом существования независимой Грузинской Демократической Республики.

Так получилось, что по ряду причин практически во всех существующих на сегодня исследованиях, касающихся жизни и деятельности Н. Николадзе, этот период упущен, более того, он как бы изъят из его биографии. Нам представляется, что именно поэтому портрет последнего из числа великих "тергдалеулни" однобок и бледен.

Нико Николадзе был одним из основателей и выдающихся фигур национально-демократической партии Грузии. В ноябре 1917 г. он принимал активное участие в работе первого национального съезда и был избран членом Национального Совета Грузии.

Н. Николадзе считается и одним из инициаторов объявления назависимости Грузии (26. V. 1918 г.). Н. Николадзе проявил свои незаурядные способности политика при ведении переговоров с Германий в Поти, а затем и в Берлине.

В феврале 1919 г. Н. Николадзе избран членом Учредительного Собрания Грузии по партийным спискам национально-демократической партии. В выборах победила

социал-демократическая партия (меньшевиков), а малочисленное представительство (8 депутатов) национал-демократов сложилось как правооппозиционная фракция. Н. Николадзе активно включился в законодательную деятельность и входил в одну из постоянно действующих комиссий. В апреле 1920 г. он выезжал за границу в составе экономической мисии.

Когда же в феврале 1921 г. воинские части Советской России вероломно вторглись в Тбилиси, Грузинская Демократическая Республика пала и правительство и часть Учредительного Собрания ушли в эмиграцию, на непродолжительное время к ним примкнул и Н. Николадзе. Он участвовал в парижской интерпартийной конференции политических партий, где образовался единый фронт для борьбы за восстановление независимости Грузии. Необходимо также отметить, что в Европе Н. Николадзе активно участвовал в решении ряда полезных для Грузии экономических вопросов.

Однако эмиграйтство его не прельщало и, несмотря на преклонный возраст (81 лет), в 1924 году он вернулся на родину. Н. Николадзе до конца своей жизни оставался верен своим идейным убеждениям и служить коммунистическому режиму не собирался.

Прожил он после возвращения 4 года и умер, будучи уверенным в том, что "большевизм должен погибнуть, а Грузия _ воскреснуть!"

Речи и выступления Н. Николадзе в Учредительном Собрании Грузии внесены в книгу в качестве приложения.

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ელიზბარაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.02.98
საბეჭდი ქაღალდი 60x84 1/16.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 4,14.
საღრ-საგამომც. თაბახი 3,45.
შეკვეთის №
ტირაჟი 500
ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი.ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა
სახელმწიფო ინსტიტუტის სტამბაში.
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 45.